პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 104 (19246) კვირა, 5 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

მართალი სიტყვის დიდი ტრიბუნა

ჟურნალისტები — თანამედროვეობის ისტორიკოსები, როგორც ფუტკარი ნექტარს, ისე აგროვებენ ხალხისთვის ფაქტებს და მოვლენებს და შთამომავლობას უნახავენ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ამბავს თანამედროვის თვალით დანახულსა და შეფასებულს.

ამბობენ — გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობს. არ ცოცხლობს გაზეთი ერთ დღეს, შეიძლება გაზეთი ერთი კონკრეტული დღის ამბავს ჰყვებოდეს, თორემ ერთ დღეს როდი ცოცხლობს. გავა დრო, გაყვითლდება ფურცლები, ამბავი კი, რომელსაც იგი მოგვითხრობს, ერთგულად ემსახურება მომავალ მკვლევარს, მკითხველს, მეცნიერს...

ჟურნალისტებს იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლებს უწოდებენ. ეს შემთხვევითი არ არის, ეს ის ფრონტია, სადაც ქვემეხების გრიალი არ წყდება, თუმცა ხმა არ ისმის და ჭურვი არ სკდება, შეიძლება ყოველგვარი ზავი, ყოველგვარი სამშვიდობო მორიგება და მოლაპარაკება, მაგრამ შეუძლებელია იდეოლოგიური კომპრომისი, რაიმე დათმობა და სახელელლება.



5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა!

მოგილოცავთ ამხანაგებო, თანამოკალმენო!

გამარჯვების დღესასწაულს — შრომის დღესასწაული!

მოსკოვი

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოვიდა. ისინი შრომობდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე. მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობას ახალი ძალა მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ სკკპ XXVII ყრილობის მოწვევის შესახებ. კომუნისტურმა შაბათობამ კვლავ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს პარტიის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ყველას დაანახვა მათი დიდი სურვილი დააჩქარონ წინსვლის ტემპი, განამტკიცონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

არნახული შემართებით შრომობდნენ გუშინ მოსკოვის „ნამგლისა და უროს" ქარხნის კოლექტივი, ლენინგრადის ტრანსპორტელები, ვოლგოგრადის გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივი, კიეველი მშენებლები, ოდესელი დოკერები, მინსკელი ავტომშენებლები.

მთელი მონდომებით ილვწოდნენ კომუნისტურ შაბათობაზე მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის მშრომელები.

რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადისა და ვოლგოგრადის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა მოწოდებას — 4 მაისს მოეწყოს დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

შრომის დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა საქართველოს მიწა-წყალზე. მუშებმა და კოლმეურნეებმა, მშენებლებმა და ტრანსპორტის მუშაკებმა შეასრულეს ასიათასობით მანეთის სამუშაოები, გამოუშვეს დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია. და „წითელი შაბათობის" დღეს სამუშაოდ გამოსულთა პირველ რიგებში იყვნენ გარდასული ბრძოლების ვეტერანები. მათ დამკვრელური შრომის მაგალითი გვიჩვენეს.

შაბათობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელები.

თბილისი

4 მაისს ათობით ომის ვეტერანმა დაიკავა სამუშაო ადგილები თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" საამქროებში. ამ დღეს მათ შეასრულეს წინა დღეს დადებული პირობა — შაბათობაზე უდიდესი ნაყოფიერებით იმუშავეს.

...ძეო-სასაქონლო ფერმის სადგომების დალაგებაში.

მშვიდობიანი შრომის დღესასწაულად იქცა საიუბილეო შაბათობა აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში. ამ დღეს სამრეწველო საწარმოებში სამუშაო ადგილები დაიკავა 110 ათასზე მეტმა წარმოების მუშაკმა. ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და პლანტაციებში სამუშაოდ გამოვიდა 60 ათასამდე მეჩაიე, მეციტრუსე, მებოსტნე, მეთამბაქოე, მეცხოველე და მექანიზატორი. დაზოგილი ნედლეულით, მასალებით და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მუშაობდა მეშახტეების, ქვანახშირმამდიდრებლების, გემთშემკეთებლების, ავტოტრანსპორტელების, ხელსაწყოთმშენებლების, მეფეხსაცმელეების 65 ბრიგადა.

ბათუმი

განსაკუთრებული მღელვარების გრძნობით მოვიდნენ 4 მაისს სამუშაოდ ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საზღვაო ნავსადგურის ვეტერანები ვ. ჯანელიძე, ვ. ტაბაღუა, გ. მარქაროვი, რ. კობეშავიძე, ი. ბოგდანოვი, ს. კარაპეტიანი, გ. სიდორენკო, ახლანდელი შაბათობა ხომ ეძღვნება დიად გამარჯვებას, რომელშიც მათ, ყოფილმა ფრონტელებმა, თავიანთი მხედრული წვლილი შეიტანეს.

იუბილეს ალსანიშნავ შრომით ვახტზე დადგა 830 კაცი...

...რმი. ფრონტისათვის განკუთვნილ პროდუქციას უშვებდა. ასი ათასი პარაშუტი დაამზადეს ქუთაისელმა მშრომელებმა ომის წლებში. კოლექტივი კვლავინდებურად საწარმოო გრაფიკის გასწრებით მუშაობს.

შაბათობაში მონაწილეობდა ქალაქის 80 ათასი მშრომელი. მათ გამოუშვეს 2,5 მილიონი მანეთის ნაწარმი. დაზოგილი ნედლეულითა და ენერგიით წარმოებულია 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

რუსთავი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ახალგაზრდა მეფოლადის ზურაბ ჭიაბრიშვილის ბრიგადაში ამიერიდან კიდევ ერთი კაცი იქნება. დიადი გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავი შაბათობის დღეს მეფოლადეთა კოლექტივში ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის გმირი შოთა გამცემლიძე. სამშობლოს უკვდავი შვილის სახელზე გამომუშავებულ მაისის სარგოს მშვიდობის ფონდში გადარიცხავენ.

უდიდესი შრომის ნაყოფიერების დღედ იქცა რუსთავში 4 მაისის შაბათობა. მეტალურგიულ ქარხანაში გამოუშვეს 700 ტონაზე მეტი ზეგეგმითი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები. საწარმოო გაერთიანება „აზოტის" კოლექტივმა დავალების გადაჭარბებით გამოუშვა 200 ტონა მინერალური სასუქები და ბევრი სხვა პროდუქცია...

რეკონსტრუქცია საწარმოს მეორე სიცოცხლეს ანიჭებს. ტექნიკურმა განახლებამ, პროგრესული მეთოდების დანერგვამ აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებასთან. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" მისამა...

მიოდ წარმოდგენელია სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის სრულყოფილი განვითარება.

წლევანდელმა უჩვეულოდ მკაცრმა ზამთარმა შეაფერხა მრავალი, მათ შორის, ქიმიური საწარმოების რიტმული მუშაობა. რა თქმა უნდა, ყველაფერს კლიმატურ პირობებს ვერ დავაბრალებთ...

საერთო საცხოვრებლების, კულტურული დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად. დარგში შემავალ საწარმოებთან შედარებით რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" ამ საქმეში უპირატესობას მივანიჭებთ.

— თქვენ მომავლის ოპტიმისტური სურათი დაგვიხატეთ. ჩვენ...

ოპტიმიზმის საფუძველი

რეკონსტრუქციის შემდეგ...

გაზეთის სტრიქონიც ჭედდა გამარჯვებას...

„ყველაფერი ფრონტისათვის", „ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის" — ასეთი ლოზუნგები რაზმავდნენ ზურგის მშრომელებს სამამულო ომის იმ მრისხანე დღეებში. ხალხი თავდაუზოგავად შრომობდა და უკანასკნელ დანაზოგებსაც ახმარდა სამშობლოს ძლიერებას. არმიას უზრუნველყოფდნენ არა მარტო სურსათით და ტანსაცმლით, თვითმფრინავების ესკადრილიებისა და სატანკო კოლონების ასაგებ ფონდში შეჰქონდათ ათიათასობით და ასიათასობით მანეთი. ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და ცალკეულმა პიროვნებებმა ამ პატრიოტულ მოძრაობას გულმხურვალედ აუბეს მხარი. მათ შორის იყო კასპის რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ" რედაქციის მუშაკთა კოლექტივიც. იმ პერიოდში მე ამ გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორად ვმუშაობდი. მშობლიური საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" ასაგებად დანაზოგი თანხების შეგროვების თაოსნობა შთაგვაგონა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მიმართვამ საბჭოთა ხალხისადმი, სადაც ნათქვამი იყო: „თანამედროვე ომი „მოტორების ომია" და ის გაიმარჯვებს, ვისაც მოტორები მეტი აქვს".

რედაქციაში მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ გაზეთის აქტიურ მკითხველთა შორის დაგვეწყო სახსრების შეგროვება სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" ასაგებად. უმალ გავშალეთ რაიონის მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა. და აი, სულ მოკლე ხანში შემნახველ სალაროში შევიდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. თაოსნობას დიდი შინაარსი შესძინა იმან, რომ სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" ასაგებ ფონდში შევიტანეთ გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციები და სახელმწიფო სესხის ოდენძალი ობლიგაციები. წითელი არმიის შეიარაღებისათვის ჩვენ მიერ გაწეული მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ დეპეშით ვაცნობეთ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს. გასაოცრად მოკლე დროში ი. ბ. სტა-

სატანკო კოლონა — „პრესის მუშაკი"

ლინისაგან მივიღეთ საპასუხო დეპეშა. მთავარსარდალი გვწერდა: „კასპი. რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ" რედაქტორს ამხანაგ ი. ბუზალაძეს. გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ძირეული პრესის მუშაკებს და გაზეთის აქტიურ მკითხველებს, რომლებმაც შეაგროვეს 75.936 მანეთი ფულად, 480 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და 11.936 მანეთის გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციები სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" ასაგებად".

თვე-ნახევრის შემდეგ ჩემს სახელზე კვლავ მოვიდა შეტყობინება. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ჯავშანსატანკო და მექანიზირებული ჯარების საბრძოლო მომზადებისა და ფორმირების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ლიპოდაევი გვაცნობებდა, რომ ჩვენ მიერ შეგროვილი თანხებით უკვე აიგო სატანკო კოლონა და გადაეცა იგი მოქმედ არმიას, გვარდიის პოლკოვნიკ იაჩნიკს (საველე ფოსტა №54238) და მთხოვდა ამის შესახებ მეცნობებინა ამ თაოსნობის ყველა მონაწილისათვის.

ორივე ფაქტი დაუყოვნებლივ ვაცნობეთ თაოსნობის მონაწილეებს, რამაც დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია.

ომი დამთავრდა. გავიდა წლები. მე არ მასვენებდა აზრი იმის შესახებ, რომ რამენაირად შემეტყო, თუ რამდენი ტანკი აიგო ჩვენი შეგროვილი თანხიდან და რა საბრძოლო გზა გაიარა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. გენერალ-მაიორ ლიპოდაევის ცნობაში მითითებული საველე ფოსტის ნომერი არ გამოდგებოდა, რადგან, ალბათ, იგი მხოლოდ ომის პერიოდს განეკუთვნებოდა და მშვიდობიან პერიოდში აღარ იარსებებდა. ერთადერთი საიმედო მისამართი იყო სამხედრო არქივი. მართლაც, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივიდან ოფიციალურად შემატყობინეს, რომ მითითებული საველე ნომრის მიხედვით მშრომელთა თაოსნობით შეგროვილი თანხით აიგო ხუთი ტანკი, ცნობაში მითითებულია ტანკების შიფრი „ის", ნომრები და ეკიპაჟის შემადგენლობა სახელის, მამის სახელის, გვარებისა და მათი სამხედრო წოდებების ჩვენებით.

არქივის ცნობის მიხედვით, აღნიშნული ტანკების ეკიპაჟებს უბრძოლიათ დასავლეთის, კალინინის, ბალტიისპირეთის მეორე და ბელორუსიის მეორე ფრონტებზე. ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაუთავისუფლებიათ რამდენიმე ქალაქი.

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს გამარჯვების 40 წლისთავს, გული სიხარულით მევსება, ჩვენც, კასპის რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ" იმდროინდელ მუშაკებს, აქტივს და გაზეთის მკითხველებს მცირეოდენი წვლილი გვაქვს შეტანილი ფაშიზმზე დიად გამარჯვებაში.

ი. ბუზალაძე.

არქივმა შემოგვინახა

ჯარისკაცური მადლობა რედაქციას

საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში მრავალი დოკუმენტური მასალა მოიპოვება, რომლებიც ასახავენ ომისდროინდელი საქართველოს ცხოვრებას, ქართველ ფრონტელთა გმირულ შემართებას. ამ ფონდებში მასალათა მრავალფეროვნებითა და კომპაქტურობით გამოირჩევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის ფონდი, რომელშიც ერთი საქმე (58 ფურცელი) ეძღვნება გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და ქართველ მებრძოლთა მიმოწერას 1944-1945 წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქმე მხოლოდ ერთ თემას — გაზეთ „კომუნისტის" გამოწერის თაობაზე ქართველ ფრონტელთა თხოვნას — წარმოგვიდგენს, აქ ვერც ერთ წერილს ვერ იპოვით, გაზეთის გამოწერის თხოვნასთან ერთად, შიგ მოკლედ და სხარტად, პატრიოტული შემართებითა და ჯარისკაცური სიმართლით ასახული არ იყოს ყველაზე მთავარი — გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამარჯვებით დაგვირგვინების ღრმა რწმენა.

ახლა ამ ბარათებს უცრემლოდ ვერ წაიკითხავ. არა მგონია, კომენტარი სჭირდებოდეს გულწრფელ წერილებს.

1945 წლის 12 აპრილით დათარიღებულ „კომუნისტისადმი" გაგზავნილ ფრონტულ ბარათში მებრძოლი გიორგი ჩაჩანიძე წერს: გაზეთ „კომუნისტს" უდიდესი ღვაწლი მიუძღვის, კერძოდ, ფრონტელთა კომუნისტური იდეურ-პოლიტიკური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. გთხოვთ კვლავ გამოგვიგზავნოთ გაზეთი...

ვამზადებ ფრონტისათვის საჭირო კადრებს, — წერდა გაზეთის რედაქციას ბრძოლებში გამოწრთობილი, ნაიარევი მეთაური შოთა კალაძე. — ნაწილში ქართველი მებრძოლებიც არიან. სამშობლოს მოყვარულ და მტრის მოძულე მეომართა აღზრდაში დიდად დამეხმარება თქვენი გაზეთი. გთხოვთ გამომიწეროთ.

ახალგაზრდა კომუნისტთა სახელით ამასვე ითხოვდა მებრძოლი ბაგრატ ბუზრაშვილი.

წითელარმიულ სალამსა და მადლობას უძღვნიან რედაქციას უფროსი ლეიტენანტი ყურაშვილი, ლეიტენანტები გობეჯიშვილი, თოლორდავა, უმცროსი ლეიტენანტი ქორიძე, ზემდეგი ქიტაშვილი, უფროსი სერჟანტი წულაია, კურსანტები ზედელაშვილი, გიკოშვილი, ჯიმშელეიშვილი, ქამუშაძე და სხვები: გაზეთი „კომუნისტი" ხელიდან ხელში გადადის და დიდი სიყვარულით იკითხება. საყვარელ მშობლიურ ენაზე იგი გვიამბობს ჩვენი მხარის ამბებს. გაზეთმა ძალიან გაგვიადვილა მუშაობა ქართველ მებრძოლთა შორის...

კაპიტანი მიხეილ ანთია: სისტემატურად ვღებულობ გაზეთ „კომუნისტს". ნომრებში გაშუქებული მასალები დიდად მიწყობს ხელს გადავცე ჩემი დანაყოფის მებრძოლებს, თუ რა გმირულ მუშაობას ეწევიან საქართველოს მშრომელები ფრონტის დასახმარებლად. დიდი მადლობა!..

ლეიტენანტი ნ. ლომაია: უღრესი მადლობა გაზეთისათვის. გვეამაყება, რომ ქართველი მშრომელები თავს არ ზოგავენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის. არც ჩვენ, ქართველი მებრძოლები, გრჩებით ვალში, დაუნდობლად ვანადგურებთ საძულველ მტერს.

სერჟანტი ა. ხარჩილავა: თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩვენი საყვარელი საქართველოს ცხოვრების გაცნობა დიდ ძალას გვმატებს პირისპირ მტერთან წარმატებით ბრძოლაში... და მაინც, მეტად სამაყოა, როცა ასეთსავე სულისკვეთებას გამოხატავს არაქართველი.

აი, რას სწერდა რედაქციას უკრაინელი მებრძოლი პ. მაკრუშენკო: მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი გაზეთი ტისის და დუნაის ხეობაში, როგორ გაუხარდათ ქართველებს, როდესაც „კომუნისტი" დაინახეს. ბევრი კითხვით პირდაპირ გაცვითეს გაზეთი (აბა, წეკოს გასახვევად ვინ გაიმეტებდა!), გმადლობთ ყურადღებისათვის. რომ იცოდეთ, რა ძვირფასია აქ ყოველი სტრიქონი სამშობლო მხარიდან.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, თავის მხრივ, დაწყებული რედაქტორითა და დამთავრებული რიგითი მუშაკით, არაფერს ზოგავდა იმისათვის, რომ ყოველმხრივ დაეკმაყოფილებინა ფრონტელთა თხოვნა. საქმეში ერთი ბარათიც არ არის, ზედ რედაქტორის ან რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკის მოკლე და კონკრეტული რეზოლუცია რომ არ ჰქონდეს. რედაქცია დროდადრო ადგენდა გაზეთის გამოწერის ფრონტელ მთხოვნელთა სიას (ყოველ სიაში ათობით გვარია შეტანილი) და სამი თვით უფასოდ უწერდა გაზეთს. და არა მარტო უწერდა, საპასუხო ცნობასაც უგზავნიდა. მადლობის სამკუთხა წერილიც არ აყოვნებდა: უდიდეს მადლობას გიხდით, ამხანაგო რედაქტორო, საპასუხო წერილისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ზურგში მთავრობა და ხელისუფლება ზრუნავს მშრომელი ხალხისათვის თავს არ დაუზოგავთ ბრძოლებში.

მებრძოლი პეტრე სირბილაძე: მხურვალე გვარდიული სალამი ფრონტიდან! დღეს, 1944 წლის 29 აგვისტოს, ბრძოლის ველზე მივიღე თქვენი ცნობა, რომ ჩემი თხოვნის თანახმად სამი თვით გამოგიწერიათ ჩემთვის გაზეთი „კომუნისტი".

ფრონტელი გ. ჰანტურია: საქართველოს შვილები, რომლებიც ამჟამად პირისპირ ფაშისტებს იუგოსლავიაში ანადგურებენ, კომუნისტურ სალამსა და უდიდეს მადლობას გიძღვნით თქვენ გაზეთ „კომუნისტის" გამოწერისათვის.

მეომარი ა. აბაშიძე: დღეს მივიღე თქვენი შეკითხვა, ვიღებ თუ არა გაზეთ „კომუნისტს"; ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული გამოიწვია ჩემში ასეთმა თბილმა მომართვამ. გაზეთი სულ სხვა რამ არის. თავისუფალ დროს, როცა გაზეთს ვკითხულობ, მავიწყდება ყველაფერი, რაც ცეცხლის ხაზზე ხდება, სულიერად ვიმყოფები ჩემს პატარა საყვარელ სამშობლოში, რომელმაც არა ერთი და ორი გმირი მისცა ჩვენს ქვეყანას.

მებრძოლი შალვა კვაჭაძე: იმ დიდი ზრუნვის პასუხად, რომელსაც თქვენ გაზეთ „კომუნისტის" გამოგზავნით იჩენთ, შეგვიძლია სიამაყით გიპატაკოთ, რომ ჩვენს ნაწილში არ დარჩენილა ქართველი, სამშობლოს ჯილდო არ მიეღოს.

ფრონტელი ი. პაპავა: 1944 წლის 9 დეკემბრის ნომერში დიდი ინტერესით წავიკითხე წერილი „ქართველი კოლმეურნე ქალის რეკორდი". თურმანიძეს მანდარინის კრეფაში რეკორდი დაუმყარებია, გამომუშავებული 6.000 მანეთი კი სამშობლოს დაცვის ფონდში შეუტანია...

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ ფრონტელ ვ. თურმანაულის სტრიქონებს: მივიღეთ გაზეთი „კომუნისტი" წერილთან ერთად, ჩემთან შეგროვდნენ არა მარტო ქართველები — მოვიდნენ რუსებიც, უკრაინელებიც. ეს უკანასკნელნიც მეძახდნენ, წაგვიკითხე, წაგვიკითხეო, ეგებ ერთი-ორი სიტყვა ჩვენც გავიგოთო, მაგრამ რას მიხვდებოდნენ, როცა ენა არ იციან. მაინც ყველა აღფრთოვანებული იყო და უკვირდათ, ფრონტზე ქართული გაზეთის მიღება.

მესაზღვრე დ. ბახტაძე: არ შემიძლია აგიწეროთ ის სიხარული, რაც თქვენმა გაზეთმა განმაცდევინა. აღარც კი გვჯეროდა, რომ ქართულ გაზეთს ვკითხულობდით.

ფრონტელი ლავრენტი მესხიშვილი: ქართველი მებრძოლების სახელით გთხოვთ გამოგვიგზავნოთ გაზეთი „კომუნისტი", სამაგიეროდ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მედგრად ვიბრძოლებთ და არ შევარცხვენთ სტალინის სამშობლოს — საქართველოს ღირსებასა და სახელს.

ეფრეიტორი დავით ჩავლეიშვილი: ქართული დაბეჭდილი ამბების ამოკითხვა უსაზღვრო სიხარულია ჩვენთვის.

მებრძოლი ი. ზედელაშვილი: ძალიან გვწყურია საქართველოს ამბების გაგება ქართველ მებრძოლებს.

მებრძოლი ვ. მიროტაძე: გაზეთ „კომუნისტის" წაკითხვის მერე მემატება ძალა მტრის გასანადგურებლად. ამას ჩემი ჯილდოებიც მოწმობენ.

საქმეში თავმოყრილი ყველა წერილიდან თუნდაც თითო წინადადება რომ ამოგვეწერა, გაზეთის მთელი გვერდიც ვერ დაიტევდა. გვინდა ეს მოკლე მიმოხილვა ფრონტელ პ. ფუტკარაძის 1945 წლის 21 მარტით დათარიღებული ბარათის სიტყვებით დავასრულოთ: მალე აღვმართავთ წითელ დროშას ბერლინის თავზე! ჩვენს ნაწილში მყოფ ქართველთა სახელით გთხოვთ, კვლავაც გამოგვიწეროთ გაზეთი „კომუნისტი"...

გ. სიხარულიძე,
ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგე, სამამულო ომის ვეტერანი.

ჟურნალისტთა წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებულია მას თავისი ფერადოვნებით ამშვენებს შესანიშნავი იუბილე — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი.

სამოც წელზე მეტია გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" დიდ მუშაობას ეწევა პარტიის პოლიტიკისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში საბჭოთა ხალხის აქტიურობის გასაზრდელად. გაზეთის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა და უკავია იმას, რომ თავის ფურცლებზე ასახოს საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირობა და ვაჟკაცობა დიდ სამამულო ომში.

სამამულო ომის მრისხანე წლებში ფრონტზე, ცეცხლის მეწინავე ხაზზე სხვა სამხედრო კორესპონდენტებთან ერთად წავიდნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები — მიხეილ შოლოხოვი, ილია ერენბურგი, ალექსი სურკოვი, კონსტანტინე სიმონოვი და მრავალნი სხვანი.

სურათზე: გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" არქივიდან. სამხედრო ჟურნალისტები რაიხსტაგის კედელთან 1945 წლის მაისში. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეგ არის და გორის ციხე!

ქართველი კაცი მშვიდობით დამთავრებულ, გამარჯვებით დაგვირგვინებულ საქმეზე იტყოდა ხოლმე: ეგ არის და გორის ციხეო. სწორედაც რომ მოუხდა — და მერე როგორ! — დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინებას აღტაცების ეს შეძახილი: „ეგ არის და გორის ციხე!"

გავიხსენოთ გალაკტიონის ლექსი „ეგ არის და გორის ციხე", რომელიც, სხვათა შორის, პირველად გორელებმა წაიკითხეს თავიანთი გაზეთის ფურცლებზე: პოეტმა გორში სტუმრობისას დაწერა იგი და ადგილობრივმა გაზეთმა იმავე დღეს დასტამბა:

„...ომში ვიყავ, მტერს ბერლინი
მივუგრიხე, მოვუგრიხე;
ცხრა მაისით შემოვძახე:
ეგ არის და გორის ციხე!"

მას შემდეგ, ორმოცი წელი გავიდა, ორმოცი მშვიდობიანი წელი... ქალაქ გორისა და გორის რაიონის მშრომელებმა ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე მრავალი სასახელო საქმე დააგვირგვინეს, თავიანთი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მშრომელთა წინსვლაში, ქვეყნის ხუთწლედებით დასახული სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

ოთხი ათეული წლის წინათ საერთოდ არ არსებობდა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება, დღეს იგი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ფლაგმანია, სადაც ხუთი ათასზე მეტი კაცი შრომობს. შარშან სწორედ აქ იშვა პატრიოტული ინიციატივა — მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედროდნენ დიად თარიღს — ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

ფეიქართა თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს მხარი ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა, სამზადისი გამარჯვების დღის ღირსეული შეხვედრისათვის გაიშალა ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში — მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, ხეხილის ბაღებში...

„გამარჯვება", გორის რაიონული და საქალაქო გაზეთი (რედაქტორი გ. ცერაძე), სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მებრძოლი მეგობარი და მეგზური, უნარიანად უძღვებოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ შრომით კოლექტივებს, ოპერატიულად აშუქებდა მათს შრომით მეტოქეობას.

აქაური მშრომელების ნამდვილი შემოქმედებითი ენთუზიაზმი გამოიწვია პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა (1983 წლის 31 დეკემბერი), რომელზეც სიტყვა წარმოთქვა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ.

— მთელი ჩვენი ქვეყანა, ითქვა პლენუმზე, ემზადება იმისათვის, რომ ღირსეულად აღინიშნოს დიადი გამარჯვების 40 წლისთავი, ეგებება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, და იმაზე, თუ როგორ შეხვდებიან პარტიისა და ხალხის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გორელი მშრომელები, მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული რესპუბლიკის წარმატებები.

პლენუმმა, რომელმაც ცხადყო ქალაქის პარტიული ორგანიზაციის დიდი პოტენციური შესაძლებლობანი, დასახა ქალაქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტივები.

მოწინავე სამრეწველო საწარმოების მშრომელებს ქალაქის ახალგაზრდობამაც აუბა მხარი. ფართოდ გავრცელდა ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ინიციატივა „ქალაქის ყოველ კულტურულ ძეგლს, თითოეულ სკვერსა და ქუჩას — კომკავშირული ზრუნვა და მაქსიმალური ყურადღება!".

ბამბეულის საწარმოო გაერთიანების №2 სართავი ფაბრიკის ახალგაზრდებმა შეფობა იკისრეს ფეიქართა დასახლების ქუჩებისა და სკვერების გამწვანებისადმი, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა — გორის ციხის გამწვანებისა და კეთილმოწყობისადმი, ანალიზური ხელსაწყოების საცდელი და საკონსერვო ქარხნების ახალგაზრდებმა — კულტურისა და დასვენების პარკის მოვლა-პატრონობისადმი.

„გამარჯვების" თვალთახედვის მიღმა არც სოფლის მშრომელთა საქმიანობა დარჩენილა. გაზეთმა წარმოაჩინა სოფლის მეურნეობის ბევრი მოწინავე ადამიანი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი.

სოფელ ძევერის საშუალო სკოლის უფროსკლასელთა ღია წერილმა რესპუბლიკის კომკავშირელებისადმი, ქალიშვილებისა და ჭაბუკებისადმი არავინ დატოვა გულგრილი და აუღელვებელი. მათ სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა ობელისკის ირგვლივ გააშენეს პარკი. აქ ისინი იკრიბებიან არა მარტო 9 მაისს, სკოლის პიონერული თუ კომკავშირული ცხოვრების ბევრი ამაღელვებელი მოვლენა ამ პარკში ხდება ხოლმე. ახლა ძევერელებმა გადაწყვიტეს შექმნან თავიანთ სკოლაში საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმი, რომლის ექსპონატებიც მათი მამებისა და პაპების შრომითი და საბრძოლო საქმიანობის ამსახველი ფოტოები, სხვადასხვა დოკუმენტური მასალა იქნება.

ქ. გორიდან და გორის რაიონიდან დიდ სამამულო ომში 12 ათასი კაცი წავიდა, ოთხი ათასამდე მეომარი გმირულად დაიღუპა მომხვდურ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

გაზეთ „გამარჯვების" რედაქციის მიერ დიადი გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად გამოცხადებულმა კონკურსმა სამამულო ომის თემაზე შექმნილი საუკეთესო მხატვრული ნარკვევისათვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა სარედაქციო ფოსტა.

გაზეთში დაიბეჭდა კარალეთის საშუალო სკოლის მასწავლებლის გ. აღუაშვილის, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის ი. ზვადიშვილის, სვენეთის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგის დ. მაყიშვილის, ჟურნალისტ ზ. მეტრეველის ნარკვევები.

და მაინც გაზეთის მკითხველები გამორჩეული ინტერესით ეკიდებიან რუბრიკას „გამარჯვების" დაუსწრებელი ინტერვიუ". ეს არის ორიგინალურად მოფიქრებული საუბარი ამ მიწის შვილებთან — ცნობილ, დამსახურებულ მშრომელებთან, საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანებთან.

„გამარჯვების" ფურცლებზე მკითხველები შეხვდნენ ვარიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს ვ. ბასილაშვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ს. ხუციშვილს, სამამულო ომის მონაწილეს, რესპუბლიკის დამსახურებულ მელიორატორს ე. ბერიანიძეს, რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგეს ქ. გარსევანიშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, მხატვარ თ. კეჩხუაშვილს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს, თადარიგის პოლკოვნიკს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს ი. გვრიტიშვილს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ო. ეგაძეს და სხვებს.

ამჟამად რაიონისა და ქალაქის შრომით კოლექტივებში აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს. გაზეთმა თავისი ფურცლები დაუთმო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს — ადგილობრივი მრეწველობის გორის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს მ. ლაცაბიძეს, ტირძნისის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ჯ. ბუქღულაშვილს და სხვებს.

ამ დღეების პუბლიკაციებში კი მკითხველები ეცნობიან, თუ რა კეთდება ქალაქში იმისთვის, რომ გორი დიდ დღესასწაულს გალამაზებული და გამშვენიერებული შეხვდეს.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ის ღაღადებდა ბრწყინვალე მერმისს!

1945 წლის 5 მაისი. შაბათი... 40 წლის წინანდელი გაზეთი „კომუნისტი"...

სულ ცოტა, კიდევ რამდენიმე დღე და, პირველი სიტყვები, რომლითაც იგი მკითხველებს მიმართავს, იქნება ასე ნანატრი, ასე სადა და ასე დიდებული: „მოგილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგებო!" გაზეთის ყოველ გვერდზე, ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში კარს მომდგარი დიადი გამარჯვების წინათგრძნობაა!

გაზეთის ამ გვერდების შრიალს, მართლაც, ომის ქარცეცხლგამოვლილი დროშების საზეიმო შრიალს თუ შევადარებ.

ყური მივუგდოთ ამ ხმას:

დადგა გამარჯვებათა ბრწყინვალე, სასიხარულო დღეები...

ბოლშევიკურ პრესას შეუძლია იამაყოს იმით, რომ საბჭოთა ხალხის, სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებაში იმანაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

მეორე გვერდზე გამოქვეყნებული წერილი კი გვაუწყებს: **„წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში გამოუშვა საბჭოთა მთავრობამ მეოთხე სახელმწიფო სამხედრო სესხი. ფაშისტური აგრესიის ციტადელი — ბერლინი დაცემულია. გერმანიის დედაქალაქში ჩვენი გამარჯვების დროშა ფრიალებს! უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების სიხარული!".**

სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის მიმდინარეობის თაობაზე პირველ ცნობებს აწვდიან გაზეთის რედაქციას საკუთარი კორესპონდენტები სოხუმიდან და ტყიბულიდან, ვ. ანთაძე (ბათუმიდან) და გ. მეფისაშვილი (ქუთაისიდან) ქვეყნდება შ. ჰოჭუასა და ლ. ესეშვილის ინფორმაციები.

ბელორუსიის მე-2 და პირველი, უკრაინის მე-4 და მე-2 ფრონტის ჯარების მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს ასახავს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 4 მაისის ოპერატიული ცნობა. ისიც გამარჯვების ზაფხულის მაცნეა, გამარჯვებისა, რომლის გარდუვალობის რწმენას მრისხანე ომის დროს ყველაზე უმძიმეს განსაცდელშიც დღითი დღე განამტკიცებდა ჩვენი პარტიული პრესა, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა.

გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებულ ლექსში „ჩვენი პრესა" მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამბობს ირაკლი აბაშიძე:

„ომის შავ დღეშიც...
ის ღაღადებდა ბრწყინვალე მერმისს;
ის სტალინგრადთან უტევდა ბერლინს,
ის ლენინგრადთან გარს ერტყა ბერლინს.
ვუტევდით ხაზღვრებს,
დნეპრსა თუ ვისლას,
ისიც იქ ხვდა, იმ მეომრებთან,
და დაჟინებით ბერლინზე მისვლას
წუთიდან წუთში იმეორებდა".

9 მაისამდე 4 დღე რჩებოდა. იყო 1945-ის 5 მაისი...

კიდევ ცოტაც და, „კომუნისტის" ღამენათევი ბედნიერი ასოთამწყობი მძივივით აკინძავს სტრიქონს: „მოგილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგებო!", ხოლო 40 წლის შემდეგ გაზეთის ერთი ნომრის მცირე მიმომხილველ წერილს ჩვენი ომისდროინდელი კოლეგების, ჟურნალისტების ფასდაუდებელი შრომის პატივისცემის ნიშნად სიყვარულითა და სიამაყით წარვუმძღვარებთ სათაურად პოეტის სიტყვებს: „... ის ღაღადებდა ბრწყინვალე მერმისს".

თ. მეტრეველი.

პრემიები მიენიჭათ

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიები მიანიჭა 1984 წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისათვის:

ვ. ლ. ალიევს — რაიონული გაზეთის „ოქტიაბრ ბაირაღი" (ქალაქი ნეფთეჩალა, აზერბაიჯანის სსრ) — რაიონის ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური მასალებისათვის;

ნ. მ. ანისინს — „უჩიტელსკაია გაზეტას" საკუთარ კორესპონდენტს — პედაგოგიური მეცნიერებისა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებისათვის;

ლ. ნ. ბირიუკოვას — გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის" განყოფილების რედაქტორის მოადგილეს, **ლ. მ. ვაისბერგს, ა. მ. სოლარევს** — რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტსკაია ლიტვის" განყოფილებათა გამგეებს — სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების საკითხების ამსახველი მასალებისათვის;

ვ. ი. ბოგაჩოვს — საკდესის მიმომხილველს, მასალების სერიისათვის, რომლებიც პროპაგანდას უწევენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს და ამხილებენ იმპერიალისტური წრეების მილიტარისტულ გეგმებს;

ე. დ. ბუდინასს — ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" სპეციალურ კორესპონდენტს — რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ჩამოყალიბების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნარკვევებისათვის;

ბ. ხ. ბუხარინას — მრავალტირაჟიანი გაზეთის „მეტროსტროევეცის" პასუხისმგებელ მდივანს — სტატიისათვის მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებელთა შესახებ;

ა. პ. გალკინს, ი. ნ. მირონოვს, ლ. ე. ელინს — ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორებს — მასალებისათვის, რომლებიც აშუქებენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის საკითხებს;

ნ. ს. გოლოდნოვს — კოსტრომის საოლქო გაზეთის „სევერნაია პრავდის" კორესპონდენტს — ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვისადმი მიძღვნილი ნარკვევებისათვის;

ე. ი. გოცუენკოს — უკრაინის რესპუბლიკური გაზეთის „სილსკი ვისტის" საკუთარ კორესპონდენტს, **მ. ჟილკაიდაროვს** — ალმა-ათის საოლქო გაზეთის „ეტისუს" განყოფილების გამგეს — სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი საპრობლემო სტატიებისათვის;

ო. გ. გრიჩერს — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ფოტოკორესპონდენტს — ფოტონარკვევებისათვის ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შესახებ;

რ. ვ. დვალიშვილს — რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" (საქართველოს სსრ) განყოფილების გამგეს — ფელეტონებისათვის მორალურ-სამართლებრივ თემებზე;

ა. ი. დრუზენკოს, ლ. ვ. კაპელუშნის, ა. გ. კლევეს, ბ. ლ. რეზნიკს, ვ. ე. სუხაჩევსკის — გაზეთ „იზვესტიის" ბამის გამსვლელი რედაქციის კორესპონდენტებს — ნარკვევებისათვის ბამის მშენებლობის შესახებ;

ვ. ვ. კლიმჩუკს — რაიონული გაზეთის „კოლგოსპნა ზორიას" (უკრაინის სსრ) რედაქტორს — ნარკვევებისათვის „დამორჩილებული ადგილი", „კარგი ნიშნები", „პირადად პასუხისმგებელი";

მ. ხ. კრიუკოვს — გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტს როსტოვის ოლქში — გამოსვლებისათვის პარტიულ და მორალურ-ეთიკურ თემებზე;

ა. ნ. კულაკოვს — გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს, **ვ. ქ. ხოხლოვს** — გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური ნარკვევებისათვის;

ვ. დ. მეხედოვს — საოლქო გაზეთ „ბრიანსკი რაბოჩის" რედაქტორს — ნარკვევისათვის „თავმჯდომარის პური";

ბ. ნ. ნიტიურევს — გაზეთ „ვეჩერნი ჩელიაბინსკის" რედაქტორის მოადგილეს, **ვ. ვ. პოლოვინკინს** — კორესპონდენტს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალებისათვის;

ა. ზ. რუბინოვს — „ლიტერატურნაია გაზეტას" განყოფილების გამგეს — სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური რეპორტაჟებისათვის;

ლ. სიიმასტას — ესტონეთის რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის განყოფილების გამგეს, **ნ. ფ. რიაპოლოვს** — ბელგოროდის საოლქო ტელერადიოკომიტეტის უფროს რედაქტორს — დოკუმენტური რადიომოთხრობებისათვის ომში წასული ადამიანის შესახებ;

მ. ლ. შჩერბაჩენკოს — „სტროიტელნაია გაზეტას" განყოფილების გამგეს — კაპიტალური მშენებლობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიებისათვის;

მ. პ. ჩერედნიჩენკოს — გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" სპეციალურ კორესპონდენტს — პიროვნების ზნეობრივი აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალებისათვის.

◆ ◆

ვ. ვ. ვოროვსკის სახელობის პრემიები საერთაშორისო ჟურნალისტიკის დარგის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის მიენიჭათ:

ა. ა. გრომიკოს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორს, **ვ. ბ. ლომეიკოს** — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგეს — წიგნისათვის „ახალი აზროვნება ბირთვულ საუკუნეში";

ვ. ი. მიხაილოვს — გაზეთ „პრავდის" სარედაქციო კოლეგიის წევრს — პუბლიცისტური სტატიების სერიისათვის, რომლებიც ამხილებენ მილიტარისტული და რევანშისტული ძალების ხრიკებს;

შ. პ. სანაკოევს — ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის" მთავარი რედაქტორის პირველ მოადგილეს — ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების სერიისათვის, რომლებიც პროპაგანდას უწევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ პოლიტიკას;

ა. ნ. იაკოვლევს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორს — წიგნისათვის „ტრუმენიდან რეიგანამდე".

კურტ ბახმანს — გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრს — პუბლიცისტური სტატიებისათვის, რომლებიც ამხილებენ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის ზრახვებს;

ზდენეკ გორჟენის — გაზეთ „რუდე პრავოს" მთავარ რედაქტორს — პუბლიცისტური სტატიებისათვის, რომლებიც პროპაგანდას უწევენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

◆ ◆

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ **მ. ი. ულიანოვას სახელობის პრემიები** მიანიჭა საქალაქო, რაიონულ, გაერთიანებულ და მრავალტირაჟიან გაზეთებში მასობრივი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ და გამგეობამ შეაჯამეს 1984 წელს გაზეთებში, ჟურნალებში, ტელევიზიითა და რადიოთი სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო გაშუქების საკავშირო კონკურსის შედეგები და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ფულადი პრემიებით და საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის რედაქციათა კოლექტივები.

• • •

შეჯამდა საბჭოთა პრესის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის დარგის საუკეთესო წიგნების საკავშირო კონკურსის შედეგები.

პრემიები მიენიჭათ **ვ. ი. ნოვიკოვს** — გამომცემლობა „სოვეტსკაია როსიას" დირექტორს — წიგნისათვის „ლენინი და ისკრელთა ჯგუფების საქმიანობა რუსეთში", **ს. ა. ანდრონოვს** — პროფესორს — წიგნისათვის „პარტიის საბრძოლო იარაღი. გაზეთი „პრავდა" 1912-1917 წლებში". **ბ. ს. ბურკოვს, ვ. ა. მიაკუშკოვს** — ჟურნალისტიკის ვეტერანებს — წიგნისათვის „სიტყვის ჯარისკაცები".

• • •

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ გამოაცხადა საკავშირო კონკურსი სამხედრო-პატრიოტული თემის — „მამათა გმირობა — მემკვიდრეობად შვილებს" საუკეთესო გაშუქებისათვის.

მესამე პრემიით და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის, დოსააფის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის სიგელით დაჯილდოებულთა შორის არის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ჯილდოები

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის 1984 წლის ლაურეატის წოდება მიენიჭათ და ფულადი პრემიებით — 1000-1000 მანეთის ოდენობით დაჯილდოვდნენ:

1. **ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქცია** — სამხედრო-პატრიოტულ თემაზე გამოქვეყნებული მასალებისათვის;

2. **გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია** — დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სსრ წარმომადგენელთა საბრძოლო და შრომითი მამაცობის ამსახველი მასალების სერიისათვის;

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქცია — საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქებისადმი მიძღვნილი მასალების სერიის მომზადებისა და გამოქვეყნებისათვის;

3. **გაიოზ დომენტის ძე ნიშნიანიძე** — მონოგრაფიისათვის „საქართველოს პრესა და რადიომაუწყებლობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში".

• • •

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებულად არიან მიჩნეული:

პირველი პრემია მიენიჭა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს;

მეორე პრემია — გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციას.

სამი მესამე პრემია:

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის რადიომაუწყებლობის რედაქციას;

ლევან გიორგის ძე დოლიძეს — ჟურნალისტს;

გივი ივანეს ძე გეწაძეს — გაზეთ „ტყიბულის" რედაქციის განყოფილების გამგეს. (საქინფორმი).

სამშობლოს ჯილდოები —ვეტერანებს

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, გრძელდება სამამულო ომის ორდენებისა და საიუბილეო მედლების გადაცემა, რომლებითაც ფრონტისა და ზურგის აქტიური მებრძოლები დაჯილდოვდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი ხიმამაცის, ხიმედგრისა და ვაჟკაცობისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად.

იმიერპოლარეთის მუსტა-ტუნტურის ქედიდან კავკასიონამდე, ვოლგის ნაპირებიდან ფაშისტურ ბუნაგამდე გადიოდა მათი ფრონტული გზები დიდი სამამულო ომის წლებში. მამაცობის, სოციალისტური სამშობლოს ერთგულების დასტურად კაშკაშებენ ამჟამად თბილისის საქარხნო რაიონში მცხოვრები ომის ვეტერანების მკერდზე საბრძოლო ორდენები და მედლები.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, სიმედგრისა და ვაჟკაცობისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად სამშობლომ ისინი დიდი სამამულო ომის ორდენებითა და საიუბილეო მედლებით დააჯილდოვა. განვლილ ბრძოლათა აქტიურ მონაწილეებს, რომელთა შორის არიან პარტიის ვეტერანები, თადარიგის და გადამდგარი ოფიცრები, საპატიო ჯილდოები გადასცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ. I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენები, აგრეთვე საიუბილეო მედლები „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი" გადაეცა დიდების ორდენის სრულ კავალერს ა. პ. ნოვალოვს, ათობით სხვა ფრონტელს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა ა. ნ. პავლიაშვილმა, ი. ბ. ტულმანმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას თავიანთი მხედრული შრომის დიდი დაფასებისათვის, ომის ვეტერანებზე ყოველდღიური მზრუნველობისათვის. მათ პირობა დადეს, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ საყვარელი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. გაბუნიამ დაჯილდოებულთ მიულოცა მოახლოებული გამარჯვების დღესასწაული, უსურვა ვეტერანებს ჯანმრთელობა, წარმატებანი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის კეთილშობილურ მუშაობაში.

• • •

საზეიმო იყო ჯილდოების გადაცემა დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეთა ჯგუფისათვის, რომელიც საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ გულთბილად მიულოცა ვეტერანებს საპატიო ჯილდოები, აღნიშნა ყოფილი ფრონტელების დიდი წვლილი ფაშისტური გერმანიის განადგურებაში, თქვა, რომ დღეს ისინი წარმატებით დგანან მშვიდობიანი შრომის ვახტზე. მათი საგრძნობი დამსახურებაც არის იმაში, რომ ავტონომიურ ოლქს მეოთხედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ამხ. ადლეიბამ ვეტერანებს გადასცა სამამულო ომის ორდენები და საიუბილეო მედლები „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი".

დაჯილდოებულებმა სულით და გულით გადაუხადეს მადლობა პარტიასა და მთავრობას თავიანთი მხედრული შრომის დიდი დაფასებისათვის, პირობა დადეს, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

• • •

იალბუზის მწვერვალზე მოუსწრო კურსანტ პეტრე ალექსანდრეს ძე პლიევსა და მის ამხანაგებს საგანგაშო ამბავმა: ომი დაიწყო! შემდეგ კი იყო კავკასიის დაცვის გმირული დღეები, ბრძოლა კურსკის რკალზე, ბერლინის აღება. იგი არის გამარჯვების პარადის მონაწილე, ერთი სამხრეთ ოსეთის 21 ათასი მკვიდრთაგანი, ვინც მთელ ქვეყანასთან ერთად იარაღით დადგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში მას და ომის ვეტერანთა ჯგუფს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა სამამულო ომის ორდენები და მედლები გადასცა. მიესალმა რა დაჯილდოებულთ, მან აღნიშნა, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა გმირობის წინაშე თავს ხრის ყველა მომდევნო თაობა.

ყოფილმა ფრონტელებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს საპატიო ჯილდოსათვის, ვეტერანებზე ყოველდღიური ზრუნვისათვის, პირობა დადეს, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, კვლავაც შეიტანენ შესაძლებისდაგვარ წვლილს მშვიდობიან მშენებლობაში. (საქინფორმი).

ხალხის გმირობის შესახებ

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთიანი პოლიტდღე გაიმართა სამხრეთ ოსეთის ყველა შრომითს კოლექტივში. სამხრეთ ოსეთის თითქმის ყოველი მეხუთე მცხოვრები წავიდა იმ წლებში ფრონტზე და ნახევარზე მეტი აღარ დაბრუნებულა.

ხალხი წმიდათაწმიდად ინახავს დაღუპულთა ხსოვნას, მათი გმირობის სიდიადეს, და ამიტომ იყო ასეთი ხალხმრავლობა სოფლის კლუბებში, კინოთეატრებში, მოედნებზე, ცისქვეშ, სადაც პროპაგანდისტები წარმოაჩენდნენ საბჭოთა ხალხის დიად გმირობას, სამხრეთ ოსეთის მკვიდრ მეომართა საბრძოლო ბიოგრაფიების მანამდე უცნობ ფურცლებს.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ ლექტორები, პროპაგანდისტები, ომის მონაწილეები.

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი პოლიტდღე ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში ჩაატარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა. (საქინფორმი).

მშვიდობის სახელით

სულ უფრო გვშორდება 1941 წლის 22 ივნისის ქარიშხლიანი დღე. მიუხედავად ამისა, მას საბჭოთა ადამიანები არასდროს დაივიწყებენ.

მაშინ, როგორც კადრის უფროსი ოფიცერი, ლვოვის ოლქში ვმსახურობდი, სახელმწიფო საზღვრიდან 4 კილომეტრზე. პირველნი ჩავებით სისხლისმღვრელ უთანასწორო ბრძოლაში. მტერი გააფთრებით მოიწევდა და ჩვენც ყოველ მიწის მტკაველს, რომ იტყვიან, კბილით ვიცავდით. ვოლხოვის გავლით ჩვენი ნაწილი ლენინგრადის ფრონტზე გადაიყვანეს. იერიშზე გადმოსულ მტერს არტილერიის ცეცხლი შევაგებეთ, გავანადგურეთ რამდენიმე ტანკი. მამაცობისათვის დამაჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ გარდატეხა მოხდა ყველა ფრონტზე. ჩვენმა არმიამ გაარღვია მტრის თავდაცვის ხაზი, გავათავისუფლეთ ქალაქი ტალინი და მივაღწიეთ მდინარე ოდერამდე. ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის დამაჯილდოვეს II ხარისხის სამამულო ომის ორდენით.

სწორედ იმხანად ჩვენმა არმიამ დავალება მიიღო მივშველებოდით აჯანყებულ პრაღას. ეს ურთულესი ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. განსაკუთრებით ვუფრთხილდები ერთ სურათს, რომელიც პრაღაში გადავიღეთ: წინა პლანზე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი გოტვალდი დგას, მის გვერდით კი მე ჩვენი ნაწილის დროშა მიჭირავს.

1979 წელს მიმიწვიეს პრაღაში, როგორც ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მონაწილე.

დავუბრუნდით თუ არა მშვიდობიან შრომას, მუშაობა დავიწყე ბათუმის სალოკომოტივო დეპოში მემანქანედ. თავდადებული შრომისათვის მრავალგზის დავიმსახურე რკინიგზელის საპატიო სიგელი. საპენსიო სტაჟიც შემისრულდა, მაგრამ არა და არ შემიძლია კოლექტივთან დაშორება. ისევ დავატარებ თბომავალს და მიხარია, რომ კვლავ მწყობრში ვარ და, როგორც შრომის ვეტერანი, გუშინ მეც ახალგაზრდული ხალისით მივიღე მონაწილეობა შაბათობაში, რომელიც დიადი გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა.

დ. გურგენაძე,
ბათუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.

მეგობრობის ხიდი

ახალი ხიდი გადაეცა საექსპლოატაციოდ ბოლნისის რაიონში. იგი გაიდო მდინარე ხრამზე იმ ადგილას, სადაც მას კვეთს მაგისტრალური გზატკეცილი, რომელიც თბილისთან აკავშირებს სომხეთის რაიონულ ცენტრს კალინინოს და მას სამართლიანად ეწოდა მეგობრობის ხიდი.

ძველი ხიდი, რომელიც სოფელ არახლოსთან იყო გადებული, ველარ აუდიოდა ტრანსპორტის სულ უფრო მზარდ ნაკადს, რის გამოც აქ ხშირი იყო საავტომობილო ხერგილები.

ახალი ობიექტი ააშენეს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ბოლნისისა და თბილისის სამშენებლო ქვეგანაყოფებმა.

მიტინგზე, რომელიც ახალ ხიდზე მოძრაობის გახსნის გამო გაიმართა, იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქედიშვილი, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრი ბ. ე. სარალიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე დ. ვ. მანჯგალაძე, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. (საქინფორმი).

მეომრებს, რომლებმაც მშვიდობა დაიცვეს, თაობებს, თვალისჩინივით რომ უფრთხილდებიან მას, სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა ქალაქ გორისა და გორის რაიონის საზოგადოებრიობის, ომის ვეტერანთა საბჭოს შეხვედრა დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილესთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, გორის მკვიდრთან, გენერალ-პოლკოვნიკ ა. ნ. ინაურთან.

შეხვედრის გახსნისას პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. გ. ჩუბინიშვილმა აღნიშნა, რომ გორელები უდიდეს პატივს მიაგებენ თავიანთ თანაქალაქელებს, მხედრული გმირობით, თავდადებული შრომით რომ გაამდიდრეს მშობლიური მხარის ისტორია, რომელმაც სამშობლოს მრისხანე, ქარცეცხლიან წლებში სამი მებრძოლი გენერალი, ოთხი საბჭოთა კავშირის გმირი, ათასობით ორდენოსანი მისცა.

თავის გამოსვლაში ა. ნ. ინაურმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს გულთბილი მასპინძლობისათვის და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ იგი, პარტიის, არმიისა და ხალხის ერთ-ერთი რიგითი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელ თავის ძალას, ცოდნას, გამოცდილებას ახმარდა და კვლავაც მოახმარს სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებას.

კავალერიაში გატარებული წლები

გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო საბჭოთა არმიაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტის შეტევითს და თავდაცვითს ბრძოლებში, ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

იმ ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო საქმეებსა და გმირობაზე, რომლებსაც გენერალი ინაური სარდლობდა, მეტყველებენ მუზეუმების ექსპონატები, ომის წლების ნაირნაირი პუბლიკაციები და საბჭოთა მხედართმთავრების მოგონებანი. თავად ალექსი ინაურს მემუარები არ დაუწერია, ვერ მოიცალა დიდი პრაქტიკული საქმეებისაგან.

და მხოლოდ ახლა, როცა საბჭოეთში დიადი გამარჯვების 40 წლისთავის შეხვედრის დიდი პოლიტიკური კამპანია დაიწყო, მან ნება მისცა თავის თავს დაბრუნებოდა შორეულ ომის წლებს და გვიამბო თავისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი.

• • •

...იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის იმ საგზურის კანდიდატი იყო, რომლითაც წითელი არმიის სასწავლებელში ღირსეულ შევსებას გზავნიდნენ.

მაგრამ რას იტყვიან მშობლები? ისინი მოელიან, რომ ალექსი, ოთხი შვილიდან უფროსი, უნივერსიტეტში ჩააბარებს გამოცდებს და ოჯახში პირველი მიიღებს უმაღლეს განათლებას. დროებით საიდუმლოდ უნდა შეენახა თავისი გადაწყვეტილება.

1927 წელი. დადგა ოჯახთან და საყვარელ გორთან გამოთხოვების ჟამი. სანამ მამის სახლს მიატოვებდა, გორის ციხეზე ავიდა, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს ქართლი, აყვავებული მინდვრები და ბაღები. თვალი მოავლო ამ მშვენიერ მხარეს, სადაც მისმა ბავშვობამ და სიყმაწვილემ გაიარა.

თავისი სამხედრო მოწოდება ალექსი ინაურმა ზუსტად განსაზღვრა: მხოლოდ კავალერია. გასაგები იყო ახალგაზრდა კაცის ოცნება. კავალერია იმხანად დიდად პოპულარული გახლდათ ჩვენს ქვეყანაში. პირველი და მეორე ცხენოსანი არმიების გმირული საქმენი დიდებით შემოსილი და ლეგენდარული გახდა. ქართული ხალხური ეპოსისა და ზღაპრების პერსონაჟები ხომ ვერაფერს გახდებოდნენ უცხენოდ. ეს ბავშვობიდანვე ჩარჩა გულში და ხან ერთ მეზობელს სთხოვდა ცხენს, ხან მეორეს.

...ალექსი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა საკავალერიო სკოლის კურსანტად ჩარიცხეს. სკოლა კრასნოდარში იყო. იმ ბოზოლებს, რომლებმაც ეს სასახლე რევოლუციამდე ააგეს ყუბანელი და დონელი კეთილშობილი ქალიშვილების ინსტიტუტისათვის, არ ეგონათ, რომ აქ მშრომელთა შვილები სამხედრო საქმეს დაეუფლებოდნენ.

სასწავლებელში დღე ადრე იწყებოდა, სწავლა და ცხოვრება ზუსტი განრიგის მიხედვით მიმდინარეობდა, რასაც მკაცრად ადევნებდა თვალს თვით სკოლის უფროსი — თავდაპირველად მ. შმიდტი, შემდეგ კი დივიზიის მეთაური კოკარევი, რომელმაც იგი შეცვალა. ეს ნებისყოფიანი, მუდამ მხნე კაცი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო კურსანტების მიმართ.

ცხენზე ჯდომაში ერთ-ერთი პირველი მეცადინეობის დროს მან შენიშნა ინაური, მოიხმო და ჰკითხა:

— სადაური ხარ, კურსანტო?

— ქართველი! — უპასუხა ალექსიმ.

— გეტყობათ, თქვენთვის არმიამდეც უცხო არ ყოფილა ცხენი, — გაეღიმა პოლიტუფროსს. — მაგრამ სამწყობრო ცხენი სხვა რამაა. ეცადეთ კარგად გაიცნოთ და ნუ დაჯაბნით. ალექსი მიხვდა — ყოველ ცხენს თავისი ხასიათი აქვს.

ერთხელ ზაფხულში ასეთი რამ მოხდა. ცხენები მდინარეზე წაიყვანეს, გააბანეს, მერე კი ალექსიმ თავისი ცხენით, ქურანა „არდენით" მეორე ნაპირისკენ გაცურა. შუა მდინარემდე რომ მივიდნენ, ალექსიმ უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ცხენი არ დაემორჩილა, თავი წაართვა და წინ გასწია. ალექსი ცურვით გამოეკიდა და უკვე გაღმიდან მოაბრუნა უკან. ზემდეგს, რომელიც ყოველივე ამას უყურებდა, ჩაეცინა და უთხრა: გახსოვდეს, ჩვენი ცხენები შუა გზიდან არასოდეს არ ბრუნდებიან უკან.

...დადგა 1931 წელი — სკოლასთან გამოთხოვების წელი. ალექსი ინაური სხვა ფრიადოსნებთან ერთად ვადამდელ გამოშვებაში აღმოჩნდა. მაშინ წითელი არმიის ნაწილებსა და შენაერთებს ძალზე უჭირდათ მომზადებული მეთაურთა კადრები.

ამრიგად, იგი მეთაურია. დაინიშნა ბესარაბიის კოტოვსკის სახელობის მე-3 საკავალერიო დივიზიის მე-16 კავალერიის პოლკის ოცეულის მეთაურად. ამ პოლკში იგი შემდგომში 1941 წლამდე იყო ესკადრონის მეთაური, საპოლკო სკოლის უფროსი, პოლკის მეთაურის მოადგილე.

ალექსი ინაურმა აითვისა კავალერიაში საარმიო ცხოვრების ყველა მხარე, კარგად იცოდა, როგორ უნდა ემოქმედათ მშვიდობიან პირობებში და საბრძოლო ვითარებაში ყველა რანგის მეთაურებს. დიდი სამამულო ომის წინ იგი მოწიფული, ავტორიტეტიანი მეთაური გახლდათ. მისი პროფესიული დონე ყოველთვის რამდენადმე წინ უსწრებდა სამხედრო წოდებათა მიღებას. 1941 წლის თებერვალში, როცა 99-ე წითელდროშოვანი კავალერიის პოლკის მეთაურად დაინიშნა, მხოლოდ მაიორის წოდება ჰქონდა. დაუვიწყარ ომისწინა დღეებში პოლკი ლვოვის ოლქის ქალაქ კამენკა-სტრუმილოვოში იყო დაბანაკებული სახელმწიფო საზღვრიდან 20-25 კილომეტრზე.

ალექსი ინაურს ყოველი წვრილმანი ახსოვს ამ დღეებისა.

1941 წლის 20 ივნისია, პარასკევი, მეთაურთა წვრთნის დღე. ალექსი ინაური მეთაურთა შემადგენლობასთან ერთად სახელმწიფო საზღვრის მახლობლად ამუშავებს თემას: „გაძლიერებული კავალერიის პოლკის მოქმედება კავალერიის დივიზიის მეწინავე რაზმში მოწინააღმდეგის მექანიზებულ ჯარებთან შემხვედრი ბრძოლის დროს".

ეს თემა, როგორც შემდგომში დარწმუნდნენ, მაქსიმალურად იყო მიახლოებული შესაძლო მომავალ საომარ მოქმედებასთან.

წვრთნის დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა მესაზღვრე კომენდანტმა ა. ინაურს სთხოვა დარჩენილიყო სახელმწიფო საზღვრის ხაზზე ვითარების გამო დამატებითი ინფორმაციისათვის. იგი დათანხმდა. კომენდანტის პატარა ბინაში ჩაი დალიეს და შეშფოთებულმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ საზღვრის მეორე მხარეს თავს უყრიდნენ გერმანელთა ჯარებს.

— მოდით, დავიცადოთ დაბნელებამდე, და თვითონ დააკვირდით, — უთხრა კომენდანტმა.

როცა მწუხრი დაეშვა, ორნი წავიდნენ სათვალთვალო პუნქტში და სასაზღვრო კოშკში ავიდნენ. საომარი ტექნიკის მოძრაობა მეორე მხარეს ინტენსიური იყო, ზოგიერთი მიმართულებით კი სრულიად შეუნიღბავადაც მოქმედებდნენ. ჩანდა, ჯარებს უყრიდნენ თავს.

ა. ინაური სასწრაფოდ დაბრუნდა უკან, უწინარესად დივიზიის შტაბში შეიარა და თავისი დაკვირვების შედეგები გაუზიარა. მოუსმინეს და უთხრეს: ფხიზლად იყავითო.

მთელმა მომდევნო დღემ — შაბათმა თითოეული ქვეგანაყოფის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმებაში ჩაიარა. ამ დღეს ყველას აეკრძალა ქალაქში გასვლა.

მთელმა ამ წინდახედულმა ღონისძიებებმა კარგი ნაყოფი გამოიღო 22 ივნისს ღამით. 4 საათსა და 15 წუთზე განგაში გამოცხადდა და პოლკის ფეხზე დაყენებას სულ საათი და 15 წუთი დასჭირდა.

როცა პოლკის ესკადრონებს და სხვა ქვეგანაყოფებს ჩამოუარა თავისი საყვარელი ქურანა „ორლიკით", ინაური დარწმუნდა, — ყველა ადგილზეა, არაფერი არ დავიწყნიათ.

დილის 6 საათზე პოლკი უკვე გზაში იყო. უკან დარჩა კამენკა-სტრუმილოვო, მეთაურთა ოჯახები. როდის და სად შეხვდებიან კიდევ ერთმანეთს? ალექსი ინაურს, რომელიც პოლკის საქმეებში იყო ჩაფლული, სულ რამდენიმე წუთი დარჩა მეუღლესთან — ვერასთან გამოსათხოვებლად. იმის თქმაღა მოასწრო ფეხმძიმე ქალისთვის: თავს და ბავშვს გაუფრთხილდიო.

მალე პოლკი ფაშისტთა ჯარებთან ბრძოლაში ჩაება. მტერი სწრაფად უკუაგდეს და გათვალისწინებული პოზიციები დაიკავეს.

ცოტა ხნის შემდეგ სატანკო პოლკიც მოვიდა. ისე მოხდა, რომ ცხენოსნებმა დაასწრეს ტანკისტებს. და ეს სავსებით ბუნებრივი გახლდათ.

პოლკის მეთაურმა ინაურმა წინასწარ დაზვერა უმოკლესი გზა სახელმწიფო საზღვრისაკენ ტყის გავლით. სწორედ ამან განსაზღვრა დანიშნულ ადგილას ოპერატიულად მისვლა.

12 საათზე, როცა თავის სანგარში იყო და თვალს ადევნებდა მოწინააღმდეგის მოქმედებას, რადიოსადგურის უფროსმა მოახსენა, რომ რადიოთი გამოვიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მოლოტოვი.

მთავრობამ საბჭოთა ხალხს ამცნო, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშისტურმა გერმანიამ წამოიწყო ომი. ამ დროს მამაც მესაზღვრეებს და ინაურის ცხენოსნებს, რომლებმაც მტერი საწყის პოზიციებზე უკუაგდეს, უკვე ჩადენილი ჰქონდათ პირველი გმირობა.

რამდენიმე საათის შემდეგ მოწინააღმდეგე, რომელსაც სწრაფმა კავალერისტებმა მოულოდნელი დარტყმა აგემეს, გონს მოვიდა და გადაწყვიტა გარშემო შემოეარა ჩვენების გამაგრებული პოზიციებისათვის. მზად არიან თუ არა მეზობლები მოსაგერიებლად? რა ქნას თვითონ? დაელოდის მოწინააღმდეგის შემოტევას თუ დაასწროს? ზემოდან არავითარი ბრძანება არ ჩანდა.

ეს იყო დიდი სამამულო ომის პირველი, ძალზე ძნელი საათები — ჯერ კიდევ ბევრი საკითხი იყო გასარკვევი, მკაფიო პასუხი კი ნაკლებად ჩანდა. და მაინც გაიმარჯვა ერთადერთმა სურვილმა — დასცხონ მოწინააღმდეგეს და ამისთვის გამოიყენონ ყოველგვარი შესაძლებლობა.

როგორც თავის წიგნში — „ასე იწყებოდა ომი" — იხსენებს საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე ბაგრამიანი, ძნელი გამოცდა ხვდათ წილად მე-6 არმიის მარჯვენა ფლანგის შენაერთებს — 41-ე მსროლელთა და მე-3 კავალერიის დივიზიებს. ისინი თანამოქმედებით აკავებდნენ მტერს, მაგრამ მან მაინც შეძლო პარხაჩის სადგურის აღება და აღმოსავლეთისაკენ გარღვევა. მოწინააღმდეგეს შეუტია 158-ე კავალერიის პოლკმა მისი მეთაურის იაკობ ბროვჩენკოს ხელმძღვანელობით. შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგეს მეტი ძალები ჰყავდა და კავალერისტები შეავიწროვეს. მაშველად მოვიდა ა. ინაურის პოლკი, რომლის გაბედულმა მოქმედებამ შეაჩერა ჰიტლერელები. ამ ნარკვევში მიზნად არ დაგვისახავს გიამბოთ და გაგაცნოთ, თუ როგორ მოქმედებდნენ ბრძოლებში 99-ე წითელდროშოვანი კავალერიის პოლკი და ბესარაბიის მე-3 კოტოვსკის სახელობის კავალერისტთა დივიზია, რომელთა პირად შემადგენლობაში ჩაწერილია ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურის სახელი. ეს ომის ისტორიკოსის საქმეა. ჩვენ მოკრძალებული ამოცანა გვაქვს; გავაშუქოთ მისი საბრძოლო საქმიანობის ზოგიერთი ეპიზოდი ისე, როგორც დაახსომდა გენერალ ინაურს და ადასტურებენ ომისდროინდელი დოკუმენტები, საგაზეთო პუბლიკაციები, ომის შემდეგ დაწერილი მოგონებანი.

• • •

1941 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში მაიორ ინაურის პოლკში, რომელიც ქალაქ კანევის რაიონში მოქმედებდა, ჩამოვიდნენ „იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტები ი. ოსიპოვი და კ. ტარადანკინი, რომლებიც მასთან კორპუსის სარდალმა გამოგზავნა.

ქვემოდან ხმამ მოაღწია: ვინ მოდის?

— თქვენიანები ვართ!

პოლკის მეთაური კომისარ დენისოვს მიუბრუნდა:

— რა ვქნათ, შევამოწმოთ?

— შევამოწმოთ!

გაისმა ბრძანება: პირველ ესკადრონს — ესროლეთ თავებს ზემოთ!

შორს გაისმა გამაყრუებელი ზალპის ექო. გლეხები გზის აქეთ-იქით გადაცვივდნენ. და მაშინ წითელარმიელთა გიმნასტურებში გამოწყობილმა ხალხმა სწრაფად გასცა თავი. აკაკანდა გერმანული ავტომატები. გადაცმული ფაშისტები, რომლებმაც ვერ მოასწრეს წინ გამორეკილი გლეხების ზურგს ამოფარებოდნენ, ჩაწვნენ და ცეცხლი გახსნეს. სოფლიდან მაშველად მორბოდნენ ესესელები. მაგრამ უეცრად ყველა გორაკიდან ატეხეს სროლა მაიორ ინაურის პოლკის მებრძოლებმა. ფაშისტები მიწას გაეკრნენ. ისინი ცოცვით აპირებდნენ მოახლოებას, მაგრამ თავიანთი გვამებით მოფინეს ხევის ფერდობები.

მთელ დღეს გაგრძელდა ბრძოლა. მწუხრი დაეცა. ღამით გერმანელებმა „სიკვდილის ბატალიონების" ჯარისკაცთა გვამები საზიდრებით გაზიდეს. მოწინააღმდეგეს რეზერვები მოუვიდა და დილიდანვე სცადა იერიშის განმეორება. მაგრამ ვერც ამჯერად გახდა რამეს. „სიკვდილის ბატალიონების" ნარჩენებმა სოფლის უკან დაიხიეს.

შემდეგ მაიორ ინაურის პოლკს ღამის ბრძოლა ჰქონდა მოწინააღმდეგესთან. საჭირო იყო მისი გარეკვა სოფელ ს.-დან.

მებრძოლები საღამოდან ემზადებოდნენ იერიშისათვის. პოლკის მეთაურმა უბრძანა, ყველას გაეკეთებინა ხელზე თეთრი სახვევი. პოლკი ხელჩართულ ბრძოლაში მიდიოდა. სიბნელეში უნდა გაერჩიათ თავისიანები.

მოწინააღმდეგემ შენიშნა პოლკის მოძრაობა და უწესრიგო ცეცხლი დაუშინა. ჩამოქვეითებული ცხენოსნები არც ერთი სროლით არ უპასუხებდნენ, საშუალებას არ აძლევდნენ დამიზნებით ესროლათ და ჩუმად მიიწევდნენ წინ.

...ბდა, არამედ მტრის ზურგში სწრაფი და ღრმა რეიდებით თავზარს სცემდა ფაშისტურ ჯარებს.

კავალერიის პოლკი მაიორ ა. ინაურის ხელმძღვანელობით, ჩვეულებრივ, ბრძოლის ყველაზე პასუხსაგებ და საშიშ უბნებზე მოქმედებდა, უფრო ხშირად ავანგარდში და არიერგარდში. იშვიათი არ იყო შემთხვევა, როცა პოლკს ავალებდნენ საბრძოლო ამოცანის შესრულებას მტრის ჯარების ზურგში, აგრეთვე ალყაში მოქცეული ჩვენი ნაწილებისათვის დახმარების მათი განთავისუფლების მიზნით. ა. ინაურის მეთაურობით 99-ე კავალერიის პოლკის პირადი შემადგენლობა არაერთხელ აღნიშნულა თავგამოჩენილ ჯარებს შორის და სახელმწიფო ჯილდოები დაუმსახურებია... შემდგომში კავალერიის პოლკის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის ა. ნ. ინაურს ვადამდე მიენიჭა „პოდპოლკოვნიკის", მერე კი „პოლკოვნიკის" მორიგი სამხედრო წოდება, და იგი კავალერიის დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე დაინიშნა".

ეს 1942 წლის დამდეგს მოხდა. უკან დარჩა ძნელი თავდაცვითი ბრძოლები ლვოვთან, ტერნოპოლთან, ბერდიჩევთან, ფასტოვთან და კიევთან... ამ მიმართულებათა და ოპერაციათა მარტო ჩამოთვლაც კი ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის მაშინდელი არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში მე-3 კავალერიის დივიზიის მეომრები ვაჟკაცურად და თავდადებით იცავდნენ საბჭოთა მიწა-წყალს.

1942 წლის დამდეგს, ჩაიბარა რა გენერალ ა. ა. გრეჩკოსაგან 34-ე ცალკეული კავალერიის დივიზიის მეთაურობა, ალექსი ინაურის ცხოვრებაში ახალი, უფრო პასუხსაგები პერიოდი დადგა. ეს ძნელი ხანა იყო — ჩვენი ჯარები იძულებული იყვნენ ძნელი თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინათ მტრის ჭარბი ჯარების წინააღმდეგ.

[illegible]

ცნობებმა შთაგონეს ვროვგო ლეონიძეს ლექსი, რომლის ნაწყვეტიც გვინდა გაგაცნოთ:

ომგადახდილო, მხედარო —,
ქებად არ გინდა ქადება,
ტყვიის [illegible],
გული არ შეგიქანდება.

მეოცდაორედ გადახვალ
გადეზებული მწკრივითა,
მტერს შენზე მოიერიშებს
მობერტყავ ფუტკარივითა...

დამძგერებელო, გამტეხო,
მხგავსო ლვარის და ქარისა,
გორელ ქალის რძით ნაწოვო,
გაზრდილო ლიახვ-მტკვარისა,

დედა პირჯოცნას გიგზავნის,
მოკითხვას — შენი ქვეყანა,
ლექსს ვატან ქართლის ნიავსა,
თუ სადმე შემოგეყარა...

• • •

1942 წლის ნოემბრის დამდეგს ალექსი ინაურის ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი გადაიშალა — სარდლობამ მიზანშეწონილად ცნო დაენიშნა იგი კავკასიის ფრონტის მე-15 კავალერიის კორპუსის პირველი კავალერიის დივიზიის მეთაურად. ამჯერად სამსახური ირანში უწევდა.

ჩვენი ჯარები ამ ქვეყანაში 1941 წლის 25 აგვისტოს დროებით შეიყვანეს თავდაცვის მიზნით. ამ აქტმა ჩაშალა ჰიტლერული გერმანიის ზრახვები ჩაება ირანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. ამან უშიშარყო ჩვენი სამხრეთის საზღვრები და ირანელი ხალხი იხსნა სისხლისმღვრელი ავანტიურისაგან.

გამგზავრების წინ ალექსი ინაურმა მოასწრო ცოტა ხნით ჩასულიყო გორში, ენახა მშობლები, მეუღლე და ნათესავ-ახლობლები. და, რაც მთავარია, პირველად ნახა თავისი პირმშო, ნორჩი გორელი, რომელსაც მამის პატივსაცემად ალექსი დაარქვეს.

ა. ინაური ირანში დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე მსახურობდა, ფრონტული გამოცდილება დაეხმარა აემაღლებინა პირველი კავალერიის დივიზიის საბრძოლო მზადყოფნა, შეეკავშირებინა პირადი შემადგენლობა და დაერაზმა იგი დასახული ამოცანების სანიმუშო შესრულებისათვის.

1943 წლის დამლევს დივიზიის ნაწილები მონაწილეობდნენ მეორე მსოფლიო ომში სამი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თეირანის კონფერენციის უშიშროების უზრუნველყოფაში.

როგორც ცნობილია, ჰიტლერული სპეცსამსახურები ირანში გზავნიდნენ თავიანთ აგენტებს ჯაშუშობის, დივერსიებისა და ტერორის მიზნით, მაგრამ მათ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. მათ გზაზე აღმართული იყო ჩვენი კონტრდაზვერვა.

ალექსი ინაური, რომელიც თავრიზის სამხედრო გარნიზონის უფროსი იყო, უამრავ და მრავალფეროვან მოვალეობებს ასრულებდა, რომლითა აღწერას საგაზეთო ნარკვევი არ ეყოფა. ინაურის ცხენოსნები სულ უფრო მეტად იმსახურებდნენ ირანელი ხალხის მადლიერებას და პატივისცემას, ისინი არა მარტო იცავდნენ ჩვენს საზღვრებს; არამედ ეხმარებოდნენ კიდეც მეზობელ ხალხს დაენახა თავისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა, დაეძლია შინაური რეაქცია და ჩაეშალა მზაკვრული ზრახვები. ა. ინაურის პირადი დამსახურებანი დიდად შეაფასა სარდლობამ — 1944 წლის ივლისში მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ირანში ჩვენი ჯარების მოქმედება ინტერნაციონალური მოვალეობის სანიმუშო შესრულების მაგალითია და სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ალექსი ინაური სამშობლოში დაბრუნდა და იგი, როგორც პერსპექტიული გენერალი, სასწავლებლად გაიგზავნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიაში. სწავლის დამთავრების შემდეგ კორპუსების სარდლობდა გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფში, შემდეგ, 1953 წლამდე, კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, პასუხსაგებ სახელმწიფო სამუშაოზე ა. ინაური თავისი მოვაწეობის ახალ სარბიელზე უნარიანად იყენებს შეძენილ მრავალმხრივ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სამხედრო წრთობა, გამძლეობა კვლავინდებურად ეხმარება მთელი ძალ-ღონის დაძაბვით იმუშაოს. სამხედრო ცხოვრების წესრიგს, სიზუსტეს და დისციპლინას მიაჩნია. ეს თვისებები მუდამ ეხმარება კოლექტივის აღზრდაში.

გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური ორმოცდაათ წელზე მეტი ხანია მწყობრშია, ნახევარ საუკუნეზე მეტია დიადი ლენინური პარტიის რიგებშია. იგი დაჯილდოებულია სსრ კავშირის, აგრეთვე მეგობარი სოციალისტური ქვეყნების ორმოცი ორდენითა და მედლით, სსრ კავშირის რამ მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბოლო შვიდი ყრილობის დელეგატია.

ცხადია, მთელი ამ პატივისა და ჯილდოების მიღმა იმალება ბრძოლით აღსავსე ცხოვრების გზა. მხედრული მოვალეობის, დიადი სამშობლოს, ლენინური პარტიის ურყევი ერთგულება.

პოლკოვნიკი
ი. ბენიძე.



სურათებზე: ა. ინაური თავის სამუშაო კაბინეტში; ა. ინაური ჯილდოს გადასცემს ვახტანგ კიკაბიძეს.

ს. კილაძის ფოტო.

კვლავ მოთოვა...

საქართველოს მაღალი მთის რაიონებში გაზაფხულის ამინდი ინტენსიურმა თოვამ შეცვალა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, ბოგდანოვკის რაიონის მთიან ზონაში თოვლის სიმაღლემ 35-40 სანტიმეტრს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღია ფართობებზე — 20 სანტიმეტრს მიაღწია. ეს დაახლოებით ათი დღით შეაფერხებს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დამთავრებას. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის, რომ შეწყდა ცხვრის წველა.

ახალქალაქის რაიონში ჰაერის ტემპერატურა მინუს 3 გრადუსამდე დაეცა, თოვლის სიმაღლემ 10 სანტიმეტრს გადააჭარბა. ამავე დროს რაიონის მეურნეობების ძირითადი კულტურის — კარტოფილის მოსავლის მოყვანაში არავითარი უარყოფითი შედეგები არ არის მოსალოდნელი. თოვამ ხელი შეუშალა მხოლოდ ფერმებში საკვების მიტანას, მაგრამ აქაც, განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მდგომარეობა გამოსწორდა.

ზუსტად გრაფიკის მიხედვით განაგრძობენ მუშაობას ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის მშენებლები, თუმცა მათ ხელი შეუშალა თითქმის ათი სანტიმეტრი სიმაღლის თოვლმა. როგორც კორესპონდენტს აცნობეს პარტიის ჯავის რაიკომში, ნორმალურად მიმდინარეობს მოძრაობა გორი-ცხინვალ-ონის ავტოტრასაზე; შემთხვევები არ არის.

არ მოსულა ცნობები ელექტრო-რადიო და სატელეფონო ქსელის დაზიანების შესახებ რომელიმე რაიონში, სადაც მოთოვა.

უჩვეულოდ ინტენსიური თოვლის მიუხედავად, დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები ჩვეულებრივი გრაფიკით მუშაობენ.

უცხოური იუმორი

ერთ საღამოს ახალგაზრდა ჟურნალისტი ინტერვიუს ჩამოსართმევად მდიდარ ვაჭარს ეწვია. რედაქციას აინტერესებდა, როგორ დააგროვა ამ ვაჭარმა ამდენი ქონება.

— ეს საკმაოდ გრძელი ამბავია, — უთხრა ვაჭარმა, — ვიდრე გიამბობდეთ, მოდი, სანთელი დავზოგოთ.

◆◆

— მე მედიცინა მივატოვე და მინდა ჟურნალისტი გავხდე, — უთხრა ცნობილ ჟურნალისტს ახალგაზრდა ექიმმა. — ვფიქრობ, ადამიანებს ამით უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან.

— თქვენ მათ საკმაო სარგებლობა უკვე მოუტანეთ იმით, რომ მედიცინას თავი დაანებეთ.

◆◆

საუზმეზე ქმარს გაზეთში ჰქონდა თავი ჩარგული. ცოლმა ყავა მიუტანა. ქმარმა ერთი ყლუპი მოსვა და უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა:

— შენ ხომ იცი, რომ მე შაქრიანი ყავა არ მიყვარს!

— როგორ არა, მაგრამ ძალიან მინდოდა შენი ხმა გამეგონა.

◆◆

— მე კალმით ვცხოვრობ.

— წერთ?

— კი, როცა ფული შემომაკლდება, მამას სოფელში წერილს მივწერ ხოლმე.

◆◆

ამერიკელი მილიონერი პირპონტ მორგანი ყოველთვის ბრაზობდა, როდესაც ჟურნალისტები ინტერვიუსათვის მიდიოდნენ მასთან.

ერთხელ პარიზის ერთ-ერთი დიდი გაზეთის რედაქტორმა სთხოვა მხოლოდ ორიოდე წუთი დაეთმო მისთვის ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე.

— გადაეცით ბატონ რედაქტორს, რომ ჩემი თითოეული წუთი 250 ფრანკი ღირს, — შეუთვალა მილიონერმა.

— ბატონი რედაქტორი თანახმაა თქვენს პირობაზე, — მოახსენეს კვლავ მორგანს.

— აბა, რა გნებავთ? — ჰკითხა მილიონერმა ჟურნალისტს შესვლისთანავე.

— უპირველეს ყოვლისა, მიიღეთ თქვენი კუთვნილი 500 ფრანკი — მიუგო ჟურნალისტმა. მე ორი ათას ფრანკზე მქონდა სანაძლეო დადებული, რომ თქვენთან შეხვედრას მოვახერხებდი. ახლა თქვენ ხედავთ, რომ ჩემი თითოეული წუთი უფრო ძვირფასი ყოფილა. იგი 750 ფრანკი ღირს. მაგრამ, აი, ორი წუთი უკვე გავიდა. დიდად გმადლობთ მიღებისათვის, — უთხრა რედაქტორმა და წასვლა დააპირა.

მაგრამ ჟურნალისტის მოხერხებულობით აღტაცებულმა მორგანმა არ გაუშვა იგი და კარგა ხანს ესაუბრა მას.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

4 მაისი ● საქდესი იუწყება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გენერალური მდივნის მოწოდება

ნიუ-იორკი. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 40 წლისთავთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა მოუწოდა ყველა სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად განახორციელონ საერთო ღონისძიებანი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების მიზნით, აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნოს, თუ რა პატივისცემით ეკიდება ახლანდელი თაობა ნაციზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას, რომელიც მოწოდებულია თავიდან აიცილოს მომავალ თაობებს ომის საშინელებანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოსადმი მოხსენებაში, რომელიც წარადგინა გენერალური ასამბლეის 39-ე სესიის მიერ მიღებული რეზოლუციის შესაბამისად (ამ რეზოლუციით 1985 წლის 8 და 9 მაისი გამოცხადებულია მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის სადღესასწაულო დღეებად), ხ. პერეს დე კუელიარმა აღნიშნა, რომ საჭიროა წინააღუდგეთ რასობრივ ან ეთნიკურ განსაკუთრებულობაზე, სიძულვილსა და ტერორზე დაფუძნებულ ყოველგვარ იდეოლოგიას.

მოხსენებაში განზოგადებულია მთელი რიგი სახელმწიფოების კომენტარები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 40 წლისთავთან დაკავშირებით.

უკანონო გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაგმო, როგორც საერთაშორისო გაერთიანების მკაფიოდ გამოხატული ნებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების და გადაწყვეტილებების საწინააღმდეგო ღონისძიება, პრეტორიის რეჟიმის გადაწყვეტილება, შექმნას მის მიერ უკანონოდ ოკუპირებულ ნამიბიაში ეგრეთ წოდებული „დროებითი მთავრობა შეზღუდული უფლებამოსილებით". კონსულტაციების შემდეგ უშიშროების საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება, რომელიც უგულებელყოფს ნამიბიელი ხალხის მოთხოვნას თვითგამორკვევისა და ნამდვილი დამოუკიდებლობის თაობაზე, უკანონო და ბათილია. იგი კიდევ უფრო აძნელებს მეცადინეობას უშიშროების საბჭოს 435-ე რეზოლუციის უსწრაფესი განხორციელებისათვის, რომელიც ნამიბიის საკითხის მშვიდობიანი და საერთაშორისოდ აღიარებული მოწესრიგების ერთადერთი მისაღები საფუძველია.

განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს უარყოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეს მოქმედება და თავი შეიკავოს მისი აღიარებისაგან. დაადასტურა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეკისრება ძირითადი და პირდაპირი პასუხისმგებლობა ნამიბიის პრობლემის მოწესრიგებისათვის, უშიშროების საბჭომ აღნიშნა, რომ საჭიროა მისი 435-ე რეზოლუციის უსწრაფესი და უპირობო განხორციელება.

გააძევეს ქვეყნიდან

პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

ვარშავა. პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, პოლონეთის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს ქვეყნიდან გააძევონ ამერიკის შეერთებული შტატების ვარშავის საელჩოს პირველი მდივანი ვ. ბრეუდი და ამერიკის კონსული კრაკოვში დ. ჰოპერი დიპლომატიურ სტატუსთან შეუთავსებელი მოქმედებისათვის. როგორც ცნობილია, ორივე ამერიკელი დიპლომატი დააკავეს ნოვა-გუტაში კრაკოვის მახლობლად უწესრიგობაში მონაწილეობისათვის, რომლის მოწყობასაც ძირგამომთხრელი ელემენტები ცდილობდნენ.

სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის მიმართვაში ცდილობს გაამართლოს ამერიკელ დიპლომატთა უკანონო მოქმედება. უფრო მეტიც, იგი შეიცავს შეუწყნარებელ ცილისწამებას და მუქარას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიმართ. ამერიკელ ხელისუფალთა ასეთი პოზიცია, აღნიშნავს სააგენტო, მოწმობს, რომ შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს კვლავაც განაგრძოს მუქარისა და ეკონომიკური სანქციების, პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკა. შეერთებულ შტატებს მთლიანად ეკისრება პასუხისმგებლობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მდგომარეობისათვის, აგრეთვე მოქმედებისათვის, რომლის მიზანია ამ ურთიერთობის შემდგომი გაუარესება.

ვაშინგტონი. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ქვეყნიდან გასახლებულია ოთხი პოლონელი დიპლომატი.

ნიკარაგუა

მთავრობის განცხადება

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თხოვნით მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოიწვიოს სხდომა, რათა საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება მიაპყროს ვაშინგტონის აგრესიულ მოქმედებას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ცენტრალურ ამერიკაში. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ნიკარაგუის მთავრობის განცხადებაში. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ნიკარაგუის მიმართ ეკონომიკური და სავაჭრო სანქციების შემოღება, აღნიშნულია დოკუმენტში, ძირს უთხრის კონტადორული ჯგუფის ქვეყნების — ვენესუელის, კოლუმბიის, მექსიკისა და პანამის მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში შექმნილი საშიში ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას.

ფოტორეპორტაჟი

აპატიმრებენ მშვიდობის მომხრეებს

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც დაიწყო ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება, ხელისუფლებმა ნამდვილი ომი გააჩაღეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ.

ინგლისში ბულდოზერებით ანგრევენ სამხედრო ბაზებთან მოწყობილ „მშვიდობის ბანაკებს". მშვიდობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ გამოჰყავთ გიგანტური საპოლიციო აპარატი, რომელიც დაპატიმრებით, რეპრესიებითა და სასამართლო ანგარიშსწორებით ცდილობს ჩააცხროს ომის საწინააღმდეგო მოძრაობის სიმწვავე. ბოლო ოთხ წელიწადში დააპატიმრეს ათასობით დემონსტრანტი, ასიათასობით კაცს პოლიციელები უთვალთვალებენ.

◆◆

სურათზე: პოლიცია არბევს გრინემ-კომონის „მშვიდობის ბანაკის" მონაწილეებს.

კამერა პრეს-საქდესის ფოტო.

ამერიკა ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჩაბმულიყო ომში, მაგრამ რუზველტს უკვე ჰქონდა ცივი ომი ჰიტლერთან. ეს უდიდეს დაბრკოლებებს უქმნიდა პრეზიდენტს. რადგან ნაცისტებმა მოახერხეს ამერიკულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაძრომა.

უცებ გავრცელდა ტრაგიკული ცნობა, იაპონია პირლ-ჰარბორს დაესხაო (ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა ჰავაის კუნძულებზე, რომელსაც 1941 წლის 7 დეკემბერს მოულოდნელად თავს დაესხა იაპონია და მწყობრიდან გამოიყვანა ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის ძირითადი ძალები. რედ.). ამ ცნობის სისასტიკემ გაოგნა ამერიკა, მაშინვე ჩაება ომში და ხელადვე მრავალი ამერიკული დივიზია ოკეანის გაღმა გადაისროლეს. რუსებმა მოსკოვთან შეაჩერეს ჰიტლერული ურდოები და მტკიცედ მოითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას. რუზველტი დადებითად გამოეხმაურა ამ მოთხოვნას. მართალია, პროფაშისტური ელემენტები ახლა უკვე მიიმალნენ, მაგრამ ატმოსფერო კვლავ მოშხამული იყო. ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩვენსა და რუსებს შორის უთანხმოება ჩამოეგდოთ. ეწეოდნენ ყოვლად ღვარძლიან პროპაგანდას: „დე, ორივენი დაიცალონ სისხლისაგან — მაშინ ნადავლი ჩვენ დაგვრჩება". ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდნენ, რათა მეორე ფრონტის გახსნისათვის ხელი შეეშალათ. მშფოთვარე დღეები დადგა. მუდამდღე ახალ-ახალი ცნობები მოდიოდა რუსების დიდი დანაკარგის შესახებ.

და ჩემი აფორიაქებაც, დარწმუნებული ვარ, ამ დროიდან დაიწყო. რუსეთის დახმარების კომიტეტმა მთხოვა სან-ფრანცისკოდან, მთხოვდნენ სიტყვით გამოსულიყავი მიტინგზე რუსეთში ყოფილი ამერიკელი ელჩის ჯოზეფ დევისის მაგივრად, რომელიც უკანასკნელ წუთში ავად გამხდარიყო ლარინგიტით. მე თანხმობა მივეცი, მიტინგი მეორე დღისათვის იყო დანიშნული, მაშინვე ჩავჯექი მატარებელში, რომელიც მეორე დილას რვა საათზე ჩავიდოდა სან-ფრანცისკოში.

მთელი დღე მოუცლელი აღმოვჩნდი, კომიტეტს წინასწარ გაეწერილებინა ყველა საათი — აქ საუზმე, იქ სადილი, სიტყვის მომზადებისათვის ცოტაღა დრო დამრჩა. არადა მთავარი მომხსენებელი სწორედ მე ვიყავი. მაგრამ სადილზე ორა-სამი ჭიქა შამპანური გადავკარი და ამან უშველა საქმეს.

დარბაზი ათი ათას კაცს იტევდა და გაჭედილი იყო ხალხით, სცენაზე ისხდნენ ამერიკელი ადმირალები და გენერლები, აქვე იყო სან-ფრანცისკოს მერი როსი. ლაპარაკობდნენ ძალიან თავშეკავებით და ორაზროვნად. მერმა მაგალითად განაცხადა: — ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ რუსები ჩვენი მოკავშირეები არიან.

ყოველნაირად ცდილობდა, შეემცირებინა ის სიძნელეები, რასაც რუსები განიცდიდნენ, ზედმეტად არ შეექო იმათი მამაცობა, არ ეხსენებინა ის ფაქტი, რომ რუსები ორასამდე ჰიტლერულ დივიზიას უმკლავდებოდნენ და ამ ბრძოლაში გმირულად იხოცებოდნენ. „ჩვენი მოკავშირეები შემთხვევითი მოკავშირეები არიან!" — ასეთი განწყობილება სუფევდა მიტინგზე.

კომიტეტის თავმჯდომარემ შემომთავაზა, იქნებ როგორმე ერთი საათი ილაპარაკოო. ამან დამაფრთხო. მთელი ჩემი მჭევრმეტყველება, დიდი-დიდი ოთხ წუთს მყოფნიდა. მაგრამ ამდენმა ფუჭმა ლაყბობამ გამაბრაზა. სადილის დროს ბარათზე, რომელზეც ჩემი გვარი ეწერა და ჩემს თეფშთან იდო, ოთხი საკითხი ჩამოვწერე და შიშითა და მღელვარებით ველოდი, როდის გამომაცხადებდნენ. უცებ ჩემი გვარი გავიგონე, გამომაცხადეს.

სმოკინგი მეცვა, შავი ყელსაბამი მეკეთა. გაისმა ტაში, რამაც საშუალება მომცა გონება მომეკრიფა. ტაში რომ მიწყნარდა, ერთი სიტყვა წარმოვთქვი: „ამხანაგებო!" და დარბაზში ხარხარი ატყდა. დავიცადე, მანამ დაწყნარდებოდნენ და ხაზგასმით ვთქვი: „განგებ ვამბობ ასე, „ამხანაგებო-მეთქი". ისევ ასტყდა ხარხარი, რასაც კვლავ ტაში მოჰყვა. მე განვაგრძე:

— ვგრძნობ, რომ დღეს აქ ბევრი რუსი იქნება დარბაზში და რაკი ისიც ვიცი, როგორ იბრძვიან და კვდებიან ამ წუთში თქვენი თანამემამულენი, დიდ პატივად მიმაჩნია, ამხანაგები გიწოდოთ.

კვლავ ტაში გაისმა, ბევრი ფეხზე წამოდგა.

და ერთბაშად ავენთე, რადგან ის სიტყვები გამახსენდა: „დე, ორივენი დაიცალონ სისხლისაგან..." მინდოდა მთელი ჩემი გულისწყრომა გამომეხატა ამის გამო, მაგრამ რაღაცამ შემაჩერა და სამაგიეროდ ესა ვთქვი:

— მე კომუნისტი არა ვარ, მე, უბრალოდ, ადამიანი ვარ და ყოველი სხვა ადამიანის განცდა ჩემთვის ნაცნობია. კომუნისტებიც ჩვენნაირი ადამიანები არიან. როცა ისინი ხელს ან ფეხს ჰკარგავენ, ჩვენსავით იტანჯებიან, და ჩვენნაირადვე კვდებიან. კომუნისტის დედაც ისეთივეა, როგორც ყველა სხვა დედა, როცა იგი შვილების არდაბრუნების ტრაგიკულ ცნობას მიიღებს, იმდაგვარადვე მოსთქვამს, როგორც ყველა დედა. ამის განცდისათვის სულაც არ არის აუცილებელი კომუნისტი იყო. ამისათვის საკმარისია, უბრალოდ, ადამიანი იყო. და სწორედ ამ წუთში რამდენი რუსი დედა ტირის, რამდენი მათი შვილი იღუპება...

ორმოცი წუთი ვილაპარაკე, ერთ ფრაზას რომ ვიტყოდი, ჯერ კიდევ არ ვიცოდი რას მოვაყოლებდი. ბევრი ვაცინე მსმენელები, ტაშიც ბევრი დამიკრეს, მოვყევი ანეგდოტებს რუზველტზე, გავიხსენე ჩემივე სიტყვა პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა სესხს გასავრცელებლად გამგზავნეს... ყველაფერი კარგად მიდიოდა.

— ახლა მეორე ომი მოგვადგა კარზე, — ვთქვი მე, — და რუსებისათვის დასახმარებლად მოგიწოდებთ, — ცოტა შევიცადე და განვაგრძე, — ომში დახმარებისათვის. დახმარება ფულითაც შეიძლება, მაგრამ იმათ ფულზე უფრო სხვა რამე სჭირდებათ. მე გავიგე, რომ მოკავშირეებს ორი მილიონი ჯარისკაცი უსაქმურად ჰყავთ დაბინავებული ჩრდილოეთ ირლანდიაში, მაშინ როდესაც რუსები მარტოდმარტონი უმკლავდებიან ორას ნაცისტურ დივიზიას.

დარბაზი გაინაბა და დაიძაბა.

— რუსები ჩვენი მოკავშირეები არიან, — მხურვალედ განვაცხადე, — ისინი მარტო საკუთარი ქვეყნისათვის კი არ იბრძვიან, არამედ ჩვენი ქვეყნისთვისაც. ხოლო რამდენადაც ამერიკელებს ვიცნობ, იმათ თვითონვე უყვართ საკუთარი ქვეყნის დასაცავად ბრძოლა. სტალინი ამას მოითხოვს, რუზველტიც ამასვე მოუწოდებს, მოდი ჩვენც დავუჭიროთ მხარი, ჩვენც მოვითხოვოთ მეორე ფრონტის გახსნა!

ატყდა საშინელი ღრიანცელი, რამაც შვიდ წუთს გასტანა. ჩემი მსმენელებიც სწორედ ამას ფიქრობდნენ გულში. სიტყვის გაგრძელების საშუალება აღარ მომცეს, ატყდა ტაში და ფეხების ბრახუნი და სანამ დარბაზში ასეთი ღრიალი იდგა, სანამ ფეხებს აბაკუნებდნენ და ჰაერში ქუდებს ისროდნენ, მე ვიდექი და ვფიქრობდი, ძალიან ხომ არ შევტოპე, ზომაზე მეტი ხომ არ წამომცდა რამე-მეთქი? მაგრამ ხელადვე გავბრაზდი ჩემსავე სულმოკლეობაზე. იმ ათასობით ადამიანის შემრცხვა, რომლებიც ახლა ფრონტზე იბრძოდნენ, იხოცებოდნენ. ბოლოს როგორც იქნა დაწყნარდა ხალხი და მეც განვაგრძე:

ჩარლი ჩაპლინი ცოცხალი რომ იყოს!

— მე უკვე გატყობთ, რომ არც ერთი თქვენგანი არ დაიზარებს, დეპეშა გაუგზავნოს პრეზიდენტს! იმედი ვიქონიოთ, რომ ხვალ იგი ათი ათას მოთხოვნას მიიღებს მეორე ფრონტის გახსნის შესახებ.

მიტინგის შემდეგ ვიგრძენი, თითქოს ატმოსფერო დაიძაბა. დუდლი ფილდ მელონი (დიდი ოჯახური ფინანსური დაჯგუფების „მელონების" ერთ-ერთი წარმომადგენელი), ჯონ გრიფილდი (ამერიკული კინოს გამოჩენილი მოღვაწე) და მე ერთად წავედით სავახშმოდ.

— დიდი მამაცობა გამოიჩინეთ, — მითხრა გრიფილდმა.

ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს, შემაცბუნა. სულაც არ ვაპირებდი მამაცობის გამოჩენას და, მით უმეტეს, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩარევას. მე მხოლოდ ისა ვთქვი, რასაც გულწრფელად ვგრძნობდი და რაც ჭეშმარიტებად მესახებოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ მთხოვეს ტელეფონით გამოვსულიყავი მიტინგზე, რომელსაც მედისონ-სკვერზე აწყობდნენ. თანხმობა მივეცი, რადგან, ეს მიტინგიც იმავე მიზნებს ემსახურებოდა. აბა რატომ არ უნდა დავთანხმებულიყავი? მიტინგი ძალიან პატივცემული ხალხისა და ორგანიზაციების თაოსნობით მოეწყო. თოთხმეტი წუთი ვილაპარაკე.

სან-ფრანცისკოში გამართული მიტინგის შემდეგ თვეები გავიდა, რუსები კვლავ მოითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას. კიდევ ერთი მიწვევა მივიღე ნიუ-იორკიდან, კარნეგი-ჰოლში სიტყვით გამოსვლას მთხოვდნენ, ავწონ-დავწონე, წავიდე თუ არა — მეთქი, და გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე უკვე გავაკეთე და ეს საკმარისი იყო. მეორე დღეს ჩოგბურთს ვეთამაშებოდი ჯეკ უორნერს, ჩემივე საჩოგბურთო კორტზე, და მასთან ჩამოვაგდე სიტყვა ამ საგანზე. ჯეკმა ორაზროვნად გადააქნია თავი.

— ნუ წახვალთ, — მითხრა მან.

— რატომ?

პირდაპირი პასუხი არ მიუცია, ისე დასძინა:

— ნება მიბოძეთ, გაგაფრთხილოთ, ნუ წახვალთ.

სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია მოახდინა მისმა სიტყვებმა. ეს გამოწვევას ნიშნავდა. იმ დროს უკვე დიდი მჭევრმეტყველება აღარ იყო საჭირო, მეორე ფრონტის გახსნისათვის მოსაწოდებლად, ამერიკელების თანაგრძნობის მოპოვება უკვე ადვილი საქმე იყო, რადგან რუსებმა სწორედ იმხანად მოიპოვეს გამარჯვება სტალინგრადთან. მეც ავდექი და წავედი ნიუ-იორკში.

კარნეგი-ჰოლის მიტინგს ესწრებოდნენ პერლ ბაკი, როკუელ კენტი, ორსონ უელსი და ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე. ორსონ უელსმა რომ დაიწყო ლაპარაკი, დარბაზში ხმაური ატყდა, ამიტომ ჩემი აზრით, მალევე მიაცურა თავისი გემი ნაპირთან. იგი ჩემ წინ გამოვიდა და განაცხადა, არ მესმის, რატომ არ უნდა ვილაპარაკო, საქმე ხომ რუსებისათვის ომში დახმარებას შეეხება, რუსები კი ჩვენი მოკავშირეები არიანო. მისი სიტყვა უმარილო კერძსა ჰგავდა და ამიტომ გადავწყვიტე, კიდევ უფრო მძაფრად გამომეთქვა რასაც ვფიქრობდი.

„ამ მიტინგზე ჩარლისა და მსმენელს შორის სასიყვარულო ურთიერთგაგება სუფევდა" — წერდა „დეილი უორკერი". მაგრამ მე მაინც ძალიან აღელვებული და არეული ვიყავი მიტინგის შემდეგ. მართალია კმაყოფილებასაც ვგრძნობდი, მაგრამ რაღაც ცუდი წინათგრძნობაც არ მასვენებდა.

● ●

მიტინგებზე გამოსვლების შემდეგ ჩემი წონა ნიუ-იორკის მაღალ საზოგადოებაში თანდათანობით შემცირდა. უკვე აღარ მეპატიჟებოდნენ მდიდარი სახლები ქალაქგარეთ, რათა შაბათ-კვირა მათთან ერთად გამეტარებინა.

... საღამო ხანს სასეირნოდ გავდიოდით სოფელში, ოღონდ ძალიან ვფრთხილობდით, რომ არავის შევეჩნეთ. ზოგჯერ საშინელი სასოწარკვეთილება მომიცავდა. ვგრძნობდი რა ღვარძლითა და სიძულვილით იყო გაჟღენთილი მთელი ერი ჩემს მიმართ, მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი კინო კარიერა საბოლოოდ დაიღუპა. ასეთ წუთებში უნა (ჩარლი ჩაპლინის მეუღლე — ა. ა.) მამხნევებდა...

ლოს-ანჟელესში რომ დავბრუნდით, ჩემმა მეგობარმა, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს წევრმა მერფიმ, შემაშფოთებელი ამბავი მაცნობა — სადილზე, სადაც გავლენიანი პირები იყვნენ მოწვეული, ერთ-ერთმა სტუმარმა თურმე განაცხადა: „ჩაპლინსაც მივუვდებით", „თუ რაიმე უსიამოვნება შეგემთხვევათ, — მწერდა მოსამართლე, — უმჯობესი იქნება სრულიად უცნობი და უბრალო ვექილი აიყვანოთ; გამოჩენილ ვექილს ნუ მიმართავთ".

გავიდა ამის შემდეგ რადენიმე ხანი და ფედერალურმა ხელისუფლებამ მოქმედება დაიწყო. მას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პრესამ, ვის თვალშიც მე ბოლწი არამზადა ვიყავი... ფედერალური ხელისუფლება ხშირად მიმართავდა ხოლმე შანტაჟს, რათა პოლიტიკური მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია მოეხდინა.

(რეაქციული ამერიკა, უზენაესი სასამართლოს წევრის მერფის სიტყვებით, „ამერიკის გავლენიანი პირები", კონკრეტულად კი „ჰუვერები" და „სულცბერგერები" დაუკავშირდნენ ჰოლივუდელ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, რომელიც ფეხმძიმე იყო და მამად ჩარლი ჩაპლინი გამოაცხადეს, თანაც ბრალი დასდეს შვილის მიმართ მოვალეობის შესრულებას გაურბისო. „ბიოგრაფიაში" ჩარლი ჩაპლინს უტყუარი მასალა მოაქვს, რომელიც ცხადყოფს, რომ ამ შანტაჟის შეთითხნაში გამოძიების ფედერალური ბიურო და უშუალოდ მისი შეფის ჰუვერის ხელი ერია. გამოძიებამ და სასამართლო პროცესმა თოთხმეტ თვეს გასტანა. მთელი ამ ხნის მანძილზე პრესა, მასობრივი ინფორმაციის ორგანოები ჩირქს ცხებდნენ ჩაპლინის სახელს, გაბოროტებით ესხმოდნენ თავს მის ზნეობას, ხუთი წლით პატიმრობას მოითხოვდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ჩაპლინი გამართლეს — ა. ა.).

იმ დღეს უნა შინ მელოდებოდა; ეზოში ჩამოსულიყო და იქ იჯდა. ჩემი გამართლების ამბავი რადიოთი მოესმინა და გული შეღონებოდა.

წყნარად ვისადილეთ შინ უნამ და მე. არც გაზეთის დანახვა გვინდოდა, არც ტელეფონთან მისვლა. არც ვინმესთან შეხვედრის ძალა მქონდა და არც გამოლაპარაკებისა. თავი დამცირებულად, შერცხვენილად და გამოფიტულად მიმაჩნდა და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სამარცხვინო ბოძზე ვყოფილიყავი გაკრული. მოსამსახურე რომ ტრიალებდა სახლში, ესეც კი მაწუხებდა.

ერთი-ორი დღის შემდეგ ლიონ ფოიხტვანგერმა მითხრა ხუმრობით:

— თქვენ ერთადერთი მსახიობი ხართ, რომელმაც პოლიტიკური ანტაგონიზმი გამოიწვია და ეს ასევე შევა ამერიკის ისტორიაში.

ეპილოგის მაგიერ: ევროპაში დაბრუნება ჩარლი ჩაპლინისათვის ნამდვილი ხსნა იყო. როგორც თვითონ წერს, ყელში ამოუვიდა ამდენი შეურაცხყოფა ამერიკაში, იქაური ფარისევლობა და ცრუ მორალი. თავი იმ კაცად იგრძნო, რომელიც აღარ იყო ბოროტი და ღვარძლიანი თავდასხმების სამიზნე.

ჩარლი ჩაპლინი ცოცხალი რომ იყოს? უთუოდ გადაიღებდა ახალ „დიქტატორს". მაგრამ, ამჯერად უკვე, ოკეანისგაღმელ მანიაკებზე.

პუბლიკაცია მოამზადა

ა. ავალიანმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 108.

ჭადრაკი

საჭადრაკო „ოსკარის" ლაურეატები

1984 წლის სეზონის შედეგების მიხედვით, საჭადრაკო „ოსკარის" ლაურეატები გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და ანატოლი კარპოვი. ეს ცნობა ბარსელონაში გამოაქვეყნა ჟურნალისტთა ასოციაციამ. ჯილდოების მფლობელთა გამოსავლენ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 46 ქვეყნის 118-მა ჟურნალისტმა, რომლებიც ჭადრაკზე წერენ.

მართლაც და განსაკუთრებული წარმატება

იუგოსლავური პრესის მიმოხილვა

მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს ადრეც მიუღწევია ვაჟთა ტურნირებში არაერთი წარმატებისათვის, რისთვისაც ვაჟთა დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონის პირველი ადგილი იუგოსლავიის ქალაქ ბანია-ლუკაში მაინც სხვა იყო — აქ მან არაერთი წამყვანი დიდოსტატი ჩამოიტოვა.

ბანია-ლუკა — 85-ში მონაწილეობდა 9 დიდოსტატი: მაია ჩიბურდანიძე, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის მონაწილე ფსახისი, ფარაგო (უნგრეთი), ლეჩტინსკი (ჩეხოსლოვაკია), ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი მსოფლიოში შორტი (ინგლისი), ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებს შორის კურაიცა, ველიმიროვიჩი, ჯურიჩი და კლარიჩი (ყველანი — იუგოსლავია). მათ გარდა, ბრძოლაში ჩაება სამი საერთაშორისო ოსტატი: პლასკეტი (ინგლისი), მინიჩი, ფილიპოვიჩი, ოსტატი შიბარევიჩი, ოსტატობის კანდიდატი გავრიჩი (ყველანი — იუგოსლავია), რომელმაც ამ ტურნირში თამაშის უფლება წინასწარ შეჯიბრებაში გამარჯვებით მოიპოვა. ტურნირი მიეკუთვნებოდა ფიდეს მაღალ, მეცხრე კატეგორიის შეჯიბრებათა რიცხვს.

შეჯიბრების დაწყების წინ ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი" წერდა: „ძირითადი ფავორიტი ლევ ფსახისი გახლავთ. პირველად ბანია-ლუკაში ქალიც ითამაშებს. მაია ჩიბურდანიძეს მეორე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობა აქვს".

მაია სხვანაირად ფიქრობდა. მან პირველსავე ტურში მიიქცია ყურადღება, როცა დამაჯერებლად დაამარცხა შიბარევიჩი, რაც შეეხება ფსახისს, იგი პირველ ტურში ყაიმის შემდეგ მეორეში დამარცხდა შორტთან და დროებით ჩამორჩა.

4 ტურის შემდეგ მაია 3 ქულით უკვე ერთპიროვნული ლიდერი იყო. მესამე ტურში მისი მოგება დიდოსტატ კლარიჩთან მიმომხილველმა ბოიანიჩმა ასე დაასათაურა: „მაიამ ლექცია წაუკითხა კლარიჩს". ეს პარტია სულ 27 სვლამდე გაგრძელდა. გაზეთები ამ მომენტში უკვე წერდნენ, ცხადია, მაია საბოლოოდ კარგ შედეგს მიაღწევს, მაგრამ ვინ იქნება პირველი, ახლა ლაპარაკი ადრეაო.

გავიდა კიდევ 2 ტური. მაიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი წამყვანი მდგომარეობა. კურაიცასთან ყაიმისა და შორტის დამარცხების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა 4,5 ქულა მოაგროვა. ახლა იგი უკვე ერთი ქულით უსწრებდა კურაიცასა და ველიმიროვიჩს. „მსოფლიო ჩემპიონმა ბანია-ლუკაში კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ იგი დიდი საჭადრაკო ხელოვანია. მაიამ, რომელიც ძალზე შეუპოვრად თამაშობს, საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა" („სპორტსკე ნოვოსტი").

მეშვიდე-მეათე ტურებში მაიამ პარტიები ყაიმით დაამთავრა. ახლა მას 6,5 ქულა ჰქონდა. ამასობაში მას დაეწია ფსახისი, რომელიც ზედიზედ იგებდა. ფარაგოს 6 ქულა ჰქონდა. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. შეჯიბრების დამთავრებამდე კი 3 ტური რჩებოდა. მეთერთმეტე ტურში ჩიბურდანიძე-ფსახისის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი აღინიშნა შორტ-ფარაგოს შეხვედრაშიც.

მეთორმეტე ტურში მაიამ ეფექტურად სძლია ინგლისელ პლასკეტს, რომელსაც მთელი ტურნირის მანძილზე აქებდნენ მიმომხილველები, ფსახისი კი დამარცხდა. პირველი ადგილის ბედი გადაწყდა.

ბოლო ტურში მაიამ პარტია ყაიმით დაასრულა, 8,5 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი დაიმსახურა. 8 ქულით მეორე იყო ფარაგო, 7,5 ქულა დააგროვეს ფსახისმა და ველიმიროვიჩმა.

ერთი სიტყვით, 13 ტურის შემდეგ 4 მოგება და 9 ყაიმი, არც ერთი წაგება — ეს დიდ სპორტულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რაც იუგოსლავიის პრესამ ერთხმად აღნიშნა. მიმომხილველები ხაზს უსვამდნენ არა მარტო სპორტულ შედეგს, არამედ დიდ შემოქმედებითს მიღწევებსაც როგორც ეს ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონს შეეფერება. „მაია ბანია-ლუკაში ყოველმხრივ საუკეთესო იყო" — წერდა მიმომხილველი ბოიანიჩი.

რა თქმა უნდა, წლეულს მსოფლიო ჩემპიონს ბევრი გამოსვლა მოელის, არაერთი წარმატებაც ექნება, ბანია-ლუკაში დიდი მიღწევა კი ოქროს ასოებით ჩაიწერება მის საჭადრაკო ბიოგრაფიაში.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

ჰოკეი. პრაღაში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მასპინძლებმა პირველობა, ხოლო კანადელებმა მეორე ადგილი მოიპოვეს, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. მესამე ადგილისათვის მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა სძლია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდს ანგარიშით 10:3 და ამჯერად მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

5 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ბურატინოს გამოფხიზლება. 10.05 — „სპორტლოტო". 10.15 — კონცერტი. 10.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.35 — მოცარტი. №9 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის მი ბემოლ მაჟორი. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ხუთწლედი ყველას საქმეა. 16.50 — რუსული მეტყველება. 17.25 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 18.25 — კონცერტი. 18.55 — ჩვენი ბაღი. 19.25 — მულტფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „ბეჭდვითი სიტყვის დღე". 20.50 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. დოკუმენტური ფილმი „მარშალი ჟუკოვი. ბიოგრაფიის ფურცლები". პრემიერა. 22.00 — „ვრემია". 22.45 — მწუხრის მელოდიები. მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის მსახიობები. 23.30 — საფეხბურთო მიმოხილვა. 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.05 და 13.55 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 13.10 — საბჭოური სახვითი ხელოვნება. 14.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.45 — პოეტური კომპოზიცია საბჭოთა პოეტების ლექსების მიხედვით. 15.40 — ვ. ი. ლენინი. ჟურნალისტი და რედაქტორი. 16.20 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — რიტმული ტანვარჯიში. 19.45 და 21.15 — დოკუმენტური ფილმები. 19.55 — მუსიკის გაკვეთილი მასწავლებელს. 21.00 — „ბილი ნებისა, პატარებო!" 21.25 — „ცისარტყელა". 22.00 — „ვრემია". 22.45 — მხატვრული ფილმი „ღია გული". 0.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მხატვრები ძმები ტკაჩევები". 0.20 — ახალი ამბები.

6 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.05 — მხატვრული ფილმი „ღია გული". 11.25 — მოგზაურთა კლუბი. 15.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 16.45 — ფილმ-კონცერტი. 17.40 — დედის სკოლა. 18.10 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 18.40 — კონცერტი. 19.15 — საქმენი და ადამიანები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — „დიდი სამამულოს სიმღერები...". 20.50 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. მხატვრული ტელეფილმი „უცნობი ჯარისკაცი". I სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „უცნობი ჯარისკაცი". II სერია. 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — კუბური მელოდიები და რიტმები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.05 — რუსული მეტყველება. 11.05 — რა გვიამბო „წითელმა წიგნმა". 12.05 — მეცნიერება და ცხოვრება. 13.10 — ა. პ. ჩეხოვი. „ალუბლის ბაღი". 13.40 — ისტორიის ფურცლები. „ფიცი ელბისპირას". 14.30 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი ომის, არმიისა და მშვიდობის შესახებ. 15.05 — პ. ი. ჩაიკოვსკი. 19.20 — კინოჟურნალი „საბჭოთა მეომარი". 19.30 — რიტმული ტანვარჯიში. 20.00 — ფეხბურთი. „დნეპრი" — „სპარტაკი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — დოკუმენტური ტელეფილმი.

თბილისი

5 მაისი

პირველი პროგრამა 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.05 — უფროსკლასელთათვის. „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 10.55 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩაბნელებული ფანჯრები". 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია გ. გორგოძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — დოკუმენტური ფილმი „რგოლი". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაშია რ. ენუქაშვილი). 16.45 — კინოსიახლენი. 16.55 — პროგრამა მოსწავლეთათვის: „ჩვენ 15 წლისანი ვართ". 17.25 — „საყურადღებო სტრიქონები". 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმები — „ლეოპოლდის გასეირნება" და „ლეოპოლდის შურისძიება". 18.15 — კინოჟურნალი. 18.25 — განცხადებები. 18.30 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. „იმ დღეთა მოსაგონარი" (ქართველი კინოდოკუმენტალისტები ომში). 19.10 — ახალგაზრდობისათვის. „შტრიხები პორტრეტისათვის ანუ მარინე ვაშაყმაძის სტრიქონები". 19.45 — „დღეს მსოფლიოში". 20.00 — „მოამბე". 20.35 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. დოკუმენტური ფილმი „მარშალი ჟუკოვი. ცხოვრების ფურცლები". 22.00 — „ვრემია". 22.45 — კონცერტი. 23.15 — საინფორმაციო გამოშვება. 23.30 — საფეხბურთო მიმოხილვა.

მეორე პროგრამა. 16.25 — სატელევიზიო დადგმა „ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ამბავი". 18.10 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

6 მაისი

პირველი პროგრამა. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — კინოსიახლენი. 16.35 — პროგრამა მოსწავლეთათვის: რუსული ენა (გაკვეთილს უძღვება ი. მათიაშვილი). 17.05 — „ჯადოსნური სტებავი". 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ახალი ალადინი". 17.55 — განცხადებები. 18.00 — „ფრონტელი ჟურნალისტები". 19.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — ბაქოს „ნეფთჩი". 20.45 — „მოამბე". 21.15 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. „იმ დღეთა მოსაგონარი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფეხბურთი. ქუთაისის „ტორპედო" — ერევნის „არარატი".

მეორე პროგრამა. 16.15 — მხატვრული ფილმი „პეტრეს სიჭაბუკე". 18.25 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია.

თეატრი

5 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჟიზელი (57-ე აბონ. II წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მადამ სანჟენი; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი საყვარელი ბიძა; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები; კინომსახიობთა — ბნელ ოთახში.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06165 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.